პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი ხუთშაბათი 20 ნოემბერი № 266 (17909) ფასი 2 კაპ.

გულითადი მილოცვა

მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანათმშენებლობის სამინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს

ძვირფასო ამხანაგებო!

გულითადად გილოცავთ მეათე ხუთწლედის გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებას.

სასიხარულოა ამის აღნიშვნა, რომ დარგის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების თავდადებული შრომის, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მიზანდასახული ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობის, მუშობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგად არსებითი ძვრა მოხდა თანამედროვე ინდუსტრიულ საფუძველზე მეცხოველეობის გადაყვანისათვის გათვალისწინებული ტექნიკის ახალი თაობის შექმნისა და წარმოების ათვისების საქმეში.

მომავალში თქვენს წინაშე დგას მეცხოველეობისათვის დიდმწარმოებლური ტექნიკის გამოშვების გაზრდის დიდი სამოქალაქო-ეკონომიური ამოცანა. ... დადგენილ დავალებათა — ... მეცადინეობა მოახმაროთ მანქანების და მოწყობილობის ტექნიკური დონის, ხარისხისა და საიმედოობის ამაღლებას, მიიღწიოთ მათი ხანგამძლეობის გაზრდას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს რწმენას, რომ სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციების მშრომელები კვლავაც მტკიცედ იბრძოლებენ სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის პარტიის გეგმების განსახორციელებლად, ღირსეულად შეეგებებიან სკკპ XXVI ყრილობას.

ძვირფასო ამხანაგებო, გისურვებთ ახალ შრომითს გამარჯვებებს, წარმატებულ მუშაობას მეთერმეტე ხუთწლედში.

ლ. ბრეჟნევი.

ზამთრობისათვის ფერმა მზად არის?

საქართველოს მთიანეთში ბალახმა ზრდა შეწყვიტა. მოახლოებულმა ზამთარმა საძოვრებიდან ბაგური შენახვაზე პირუტყვის გადაყვანა დააჩქარა, ფერმის მუშაკებს საზრუნავი მოუმატა. მეცხოველეებს პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის ბრძოლის მეტად პასუხსაგები ეტაპი დაუდგათ. ახლა მათი ორგანიზებულობა და ოსტატობა უნდა გამოიცადოს.

გამოცდა კი წლეულს შარშანდელზე მკაცრი იქნება, ვინაიდან ბევრ რაიონში ძლიერმა გვალვებმა საკვების დამზადება შეზღუდა. ამას ისიც ემატება, რომ ზოგან ფურაჟის მომარაგებისადმი ნაკლები დაინტერესება გამოიჩინეს. სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი მონაცემებით, უხეში საკვების დაგროვების ტეგმა 80 პროცენტზეთაც არა აქვთ შესრულებული ადიგენის, ახალციხის, ყაზბეგის რაიონების, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების საზოგადოებრივ მეურნეობებს.

ასეთი სიტუაციაში მეტად მნიშვნელოვანია ხელიდან არ გავუშვათ საფურაჟე რესურსების შევსების ის შესაძლებლობები, რომლებიც ჯერ კიდევ არ ამოწურულა. ეს განსაკუთრებით ეხებათ დასავლეთ საქართველოს რაიონებს, სადაც ბევრი ჩალაა დასაბინავებელი. მინდორში არ უნდა დაგვრჩეს არც ერთი კილოგრამი ჩალა, ბარხლის ფოჩი, მზესუმზირას კალათა; საგანგებო ყურადღება უნდა დავუთმოთ გადამმუშავებელი მრეწველობის საკვები ნარჩენების გამოყენებას. იმ რაიონებმა კი, რომლებსაც მეზობელი კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებიდან ხორბლისა და ბრინჯის ნამჯა შემოაქვთ, ეს საქმე კიდევ უფრო უნდა დააჩქარონ.

ახლანდელ პირობებში საკვების მარაგის აყირაოთიანი ხარჯვისა და პირუტყვის პროდუქტიულობის ზრდისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ შეუფერხებლად იმუშავებენ საკვების საამქროები, რომელთაგან 391 მხოლოდ მეათე ხუთწლედში ამოქმედდა. ამ მხრივ მისაბაძი გამოცდილება აქვთ აბაშის, გარდაბნის და სხვა რაიონების მეცხოველეებს, რომლებიც მთელი ზამთრობის პერიოდში პირუტყვს შემზადებული, ყუათიანი ფურაჟით კვებავდნენ. მაგრამ ყველგან ჯეროვანი გულისყურით როდი ეკიდებიან ამ მიზნით საამქროების გამოყენებას. ბევრგან კი შეუწყნარებლად აყოვნებენ მათს მშენებლობას.

ახალქალაქის რაიონის ოხტილის, ოკამისა და სულდის საბჭოთა მეურნეობებში ექვსი წელია შენდება საკვების საამქროები და მათ ამოქმედებას „საქსახსოფლტექნიკამ“ საშველი არ დააყენა. ზოგან ისიც ხდება, რომ აშენებული საამქროები წლობით არ მუშაობენ. მაგალითად, ახალციხის რაიონის სხვილისის საბჭოთა მეურნეობის ახალ საძროხეში უმოქმედოა არა მარტო საკვების სამზარეულო, არამედ სარძიო ბლოკი, გათბობის სისტემა და სხვა.

ყოველივე ამას ისიც ემატება, რომ აქ პირუტყვის დასარწყულებელ წყალს სისტერნებით ეზიდებიან. ცხადია, ასეთ ფერმაში, სადაც ძვირად ღირებულ დანადგარ-მოწყობილობებს ვერ იყენებენ და მწველავები ტექნოლოგიურ პროცესებს ხელით ასრულებენ, მეცხოველეობის ეფექტიანობის ზრდაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

მთელი ბაგური პერიოდისათვის სრულფასოვანი ულუფის შედგენას განსაკუთრებული გულისყურით უნდა მოეკიდონ ცხინვალის რაიონის თამარაშენის, გეგეჭკორის რაიონის ნაგვაზოს, თელავის რაიონის შალაურის, წალკის რაიონის ბაშჭოის და სხვა საზოგადოებრივ მეურნეობათა ფერმებში, სადაც წლეულს ბევრი უხარისხო საკვებია დამზადებული.

პირუტყვის გამოზამთრებისათვის მომზადება მთელ კომპლექსურ ორგანიზაციულ-ტექნიკურ საკითხთა გადაჭრას მოითხოვს. სწორედ ამ მიზნით რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ ამას წინათ მიიღო დადგენილება პირუტყვის სანიმუშო ზამთრობისათვის ფერმების მომზადების შესახებ, რომელიც სხვა გადაუდებელ ღონისძიებებთან ერთად ითვალისწინებს საჭირო საშენი მასალების გამოყოფას და უთუო დასაქონლებას. როგორც ადგილებიდან რედაქციას ატყობინებენ, საჭიროა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და „საქსახსოფლტექნიკამ“ უზრუნველყონ ფერმებისათვის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დროული მიწოდება და მათი გონივრული გამოყენება, რათა არ დავუშვათ მეცხოველეობის პროდუქციის დანაკარგები ზამთრის პერიოდში და შევინარჩუნოთ სულადობა.

ზამთრისათვის ფერმების მომზადების ღონისძიებები დროულად განახორციელეს აბაშის, ხობის, გურჯაანის, ყვარლის და სხვა რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებში, სადაც საგანგებოდ შექმნილმა მშენებელთა და შემკეთებელთა ბრიგადებმა აღადგინეს პირუტყვის სადგომები, სამუშაოდ გაამზადეს საკვების საამქროები და მოწყობილობა, მაგრამ რესპუბლიკაში ცოტა როდია ფერმა, სადაც ზოზინობენ, ჯეროვნად არ ზრუნავენ იმისათვის, რომ ზამთარში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების კონვეიერის ყველა რგოლმა შეთანხმებულად იმუშაოს და წარმატებით შესრულდეს ნაკისრი ვალდებულებები. მაგალითად, ჯავის რაიონის ციროვის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში ფერმა ჯერაც არ დაუობუნებიათ, სადგომების ფანჯრები შესამინია, ეზო-გარემოში ანტისანიტარია სუფევს.

ასეთი ფაქტები ზნაურის, ონის, ამბროლაურის, წალკის და სხვა რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებშიც გვხვდება, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები „საქსახსოფლტექნიკის“ გაერთიანებები ნაკლებად აქტიურობენ საზამთროდ მეცხოველეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოსამზადებლად. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მიზნით მეცხოველეებს საჭირო მასალებსა და მოწყობილობას ზოგი საწარმო ოპერატიულად არ აწვდის, მშენებლებიც თავის მხრივ მთელ ძალებს არ ახმარენ მეცხოველეობის სადგომების საექსპლოატაციოდ გადაცემის წლევანდელი პროგრამის შესრულებას.

ბაგურ პერიოდში პროდუქციის გამოშვების ზრდა ბევრად არის დამოკიდებული მეცხოველეობის ბრიგადების კადრების კვალიფიკაციაზე, მათ სწორ განაწილებაზე, ფერმებში მაქსიმალური შედეგების მისაღწევად შემოქმედებითი ვითარების შექმნაზე. ამისათვის აქედანვე უნდა იზრუნონ პარტიულმა ორგანიზაციებმა. მათ კონტროლს უნდა დაუქვემდებარონ ფერმის მუშაკთა ყოფა-ცხოვრება, სავაჭრო და სამედიცინო მომსახურება, შრომის ორგანიზაცია და ანაზღაურება, ყოველივე ის, რაც ხელს შეუწყობს მეცხოველეთა დიდნაყოფიერ გარჯას.

ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სახოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, საზოგადოებრივმა მეურნეობებმა, ყველა მეცხოველემ გულთან ახლოს უნდა მიიტანონ ამასწინანდელი რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მოწოდება — დაჩქარონ პირუტყვის გამოსაზამთრებლად მეცხოველეობის სადგომების მოსამზადებელი მუშაობა, სწრაფი ტემპით შეაკეთონ ფერმებისა და საკვების საამქროების მოწყობილობა, დროულად მიზიდონ საკვები ფერმაში.

ყოველივე ეს ახლა სოფლად მთავარი საზრუნავია. მუშაობა ზამთრის პირობებში ფერმის თითოეული მუშაკისგან მოითხოვს პირადი პასუხისმგებლობის გაზრდას პირუტყვის წარმატებით გამოზამთრებისათვის. მათ ძალ-ღონე არ უნდა დაიშურონ იმისათვის, რომ ფრთა შეასხან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII და 1980 წლის XX პლენუმების მოთხოვნას — გადავაქციოთ საქართველო მაღალგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკად.

ჩვენი სახელოვანი მეცხოველეები, რომელთა გამარჯვებამ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში რესპუბლიკის ყველა პატრიოტის გული გაახარა, კიდევ უფრო მეტად იზრუნებენ მეცხოველეობის ბრიგადების მოსალმებებით ვითარების შექმნაზე. ამისათვის აქედანვე უნდა იზრუნონ პარტიულმა ორგანიზაციებმა. მათ კონტროლს უნდა დაუქვემდებარონ ფერმის მუშაკთა ყოფა-ცხოვრება, სავაჭრო და სამედიცინო მომსახურება, შრომის ორგანიზაცია და ანაზღაურება, ყოველივე ის, რაც ხელს შეუწყობს მეცხოველეთა დიდნაყოფიერ გარჯას.

ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სახოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, საზოგადოებრივმა მეურნეობებმა, ყველა მეცხოველემ გულთან ახლოს უნდა მიიტანონ ამასწინანდელი რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მოწოდება — დაჩქარონ პირუტყვის გამოსაზამთრებლად მეცხოველეობის სადგომების მოსამზადებელი მუშაობა, სწრაფი ტემპით შეაკეთონ ფერმებისა და საკვების საამქროების მოწყობილობა, დროულად მიზიდონ საკვები ფერმაში.

ხუთწლედი — 20 დეკემბრისათვის!

● ახმეტაში საქართველოს სახელმწიფო დროშა აღიმართა, ხუთწლედის წარმატებით შესრულების მაუწყებელი.

● უბნის კალენდარზეა მეთერთმეტე ხუთწლედი.

● საქართველოს ავიატორებმა ამ ხუთწლედში 10 მილიონზე მეტი მგზავრი გადაიყვანეს.

დამკვრელური ვახტი გრძელდება

ახმეტა. 18 ნოემბერი. (საქინფორმის კორ.). არა მარტო ახმეტის რაიონში, არამედ მთელ რესპუბლიკაშია ცნობილი წარჩინებული მშრომელების, ნოვატორი მეარეშუმის, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ო. აივაზაშვილის, მეღორეობის ბრიგადების ბრიგადირების, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების ლაურეატების ნ. სეტრიაშვილისა და ც. შაბალაიძის, მაღრაანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირის ბ. ქელეხსაშვილის, ოქიოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის გ. ირემაძის სახელები. სწორედ მათი და მათი ამხანაგების გარჯის შედეგად მიაღწია რაიონმა თვალსაჩინო წარმატებებს — რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველმა შეასრულა ხუთწლედი სოფლის მეურნეობის ყველა მაჩვენებლის მიხედვით: სახელმწიფოს გეგმის გადაჭარბებით მიჰყიდა სამი ათას ტონაზე მეტი მარცვლეული, ხუთას ტონამდე ბოსტნეული, 200 ტონა ხილი, 10 ათას ტონამდე ყურძენი, 440 ტონა ხორცი, 176 ტონა მატყლი და სხვა.

და გასაკვირი არ არის, რომ სწორედ ამ სახელოვან ადამიანებს მიანდეს რაიონის მშრომელებმა საპატიო მისია — რაიონის მიერ ხუთწლედის შესრულების აღსანიშნავად აღემართათ ახმეტის ცენტრში საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშა.

ამ მოვლენისადმი მიძღვნილ მიტინგზე საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ლ. ხარბედიამ მიულოცა რაიონის წარჩინებული მშრომელებს დიდი შრომითი წარმატება და წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და ალკკ ცენტრალური კომიტეტის მისალმება ახმეტის რაიონის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკებისადმი, ყველა მშრომელისადმი.

შემდეგ გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ახმეტის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ბატიაშვილი და რაიონის მშრომელების სახელით მადლობა გადაუხადა რესპუბლიკის პარტიასა და მთავრობას მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის და აღუთქვა, რომ ახმეტელები კიდევ უფრო თავდადებით იშრომებენ, კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლებით შეხვდებიან სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას.

მიტინგზე რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა იკისრეს ახალი გადიდებული ვალდებულებანი — ხუთწლედის დამლევამდე აწარმოონ და სახელმწიფოს გეგმის გადაჭარბებით მიჰყიდონ 1070 ტონა ხორცი, 6,21 ტონა რძე, ერთ მილიონამდე ცალი კვერცხი, 200 ტონა მატყლი.

ავიატორთა ნობათი

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს თვითმფრინავებმა დაიწყეს 1981 წლის რეისების შესრულება: ქვეყნის სამოქალაქო ავიაციისა საქართველოს ავიაორტებმა ერთ-ერთმა პირველებმა შეასრულეს მეათე ხუთწლედის გეგმები.

ამ ხნის მანძილზე გადაყვანილია ათ მილიონზე მეტი მგზავრი, გადაზიდულია 73,5 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი და ფოსტა, დამუშავებულია 2 მილიონ ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო სავარგული. მოგებამ სამი მილიონი მანეთი შეადგინა.

სამმართველოს კოლექტივმა გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი იკისრა სკკპ XXVI ყრილობის აღსანიშნავად გაშლილ შეჯიბრებაში — 1981 წლის ორი თვის საწარმოო გეგმა შეასრულოს ყრილობის გახსნის დღისათვის, დაზოგილი საწვავით განახორციელოს 26 რეისი თბილისი-მოსკოვ-თბილისის მარშრუტით.

(საქინფორმი).

შრომის ფერხულში

მეთერთმეტე ხუთწლედის გაზრდილი ამოცანების შესრულებას აქედანვე უყრიან საფუძველს თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში, სადაც ხულ უფრო ფართოვდება სადამრიგებლო მუშაობა. საწარმოს ყოველდღიურად ემატებიან ახალბედა მუშები, რომლებიც პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს ამთავრებენ.

ისინი კადრის მუშები უნდა გახდნენ მეთერთმეტე ხუთწლედში. მაგრამ უკვე შეიძლება ითქვას, რომ მათ მეათე ხუთწლედშიც შემატებენ თავიანთი წვლილი საწარმოს წარმატებებს.

ამ ხუთიათებზე თქვენ ხედავთ პროფტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულებს ნანა მოდებაძეს (მარცხნივ) და მანანა ცხოვრებოვას (წინა პლანზე), რომლებიც უკვე დამოუკიდებლად შრომობენ.

ა. სააკოვის ფოტო.

ზეგეგმითი ტონები

ტყიბული. (საკ. კორ. ვ. ციბერკაძე). ლენინის სახელობის შახტის მეექვსე საექსპლოატაციო უბანი ერთადერთი სამთო საწარმოა ქალაქში, რომელმაც ჯერ კიდევ მიმდინარე წლის მარტში გაანადა საკოქსე ქვანახშირის გამოშვების მეათე ხუთწლედის დავალება. ახლახან მან ახალი გამარჯვება მოიპოვა — სამშობლოს უპატაჟა შემხვედრი გეგმის შესრულებაც. ხუთწლედის გეგმის გადამეტებით უბნის კოლექტივმა 40536 ტონა სათბობი ამოიღო და 1981 წლის ანგარიშში შეუდგა მუშაობას.

ამ დღეებში მოწინავე შრომითმა კოლექტივმა ერთხელ კიდევ გადასინჯა თავისი შესაძლებლობანი და გადაწყვეტა სკკპ XXVI ყრილობის გახსნამდე დარჩენილ პერიოდში გეგმის გადამეტებით 2000 ტონა ზეგეგმითი საკოქსე ქვანახშირი ამოიღოს.

ხარისხი, უპირველეს ყოვლისა!

ქალაქ ზუგდიდის მრეწველობის მუშაკებმა შეასრულეს პროდუქციის წარმოების მეათე ხუთწლედის დავალებანი. წარმოების მოცულობის მატებამ უკვე შეადგინა ხუთწლედის დამლევისათვის დაგეგმილი 63,4 პროცენტი, 1980 წლის დამლევამდე კი მიაღწევს 66,3 პროცენტს.

1975 წელთან შედარებით 7,5-ჯერ გაიზარდა სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის საეხეობათა რაოდენობა, ხოლო 40-ჯერ — მათი წარმოების ოცულობა.

საერთო-სახალხო საქმეში თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანეს ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატმა, ჩაის საწენმო ფაბრიკამ, ღვინის კომბინატმა, საკონსერვო ქარხანამ. (საქინფორმი).

ს. მაშელი სსრ კავშირში

19 ნოემბერს ფრელიმოს პარტიის თავმჯდომარემ, მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა ს. მაშელმა დათვალიერა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მუზეუმი, სადაც ასახულია საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის გმირული ისტორია.

სტუმრები და მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის წევრები ინტერესით გაეცნენ ექსპოზიციებს, რომლებიც ფართოდ აშუქებს კომუნისტური პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის მრავალმხრივ საქმიანობას მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების საიმედო დარაჯის — საბჭოთა შეიარაღებული ძალების მშენებლობაში, განმტკიცებასა და გაუმჯობესებაში.

19 ნოემბერს მოსკოვიდან ფრუნზეში გაემგზავრა ფრელიმოს პარტიის თავმჯდომარე, მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი სამორა მოიზეს მაშელი.

აეროდრომზე ს. მაშელი და დელეგაციის სხვა წევრები გაცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ვ. ზიმიანინმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საკდესი).

„სალუტ-6“-„პროგრესი-11“:

მუშაობს ავტომატიკა

ფრუნზის მართვის ცენტრი. 18 ნოემბერი. (საკდესი). ორბიტუალი კომპლექსი — „სალუტ-6“ სამეცნიერო სადგური და „პროგრესი-11“ სატვირთო სატრანსპორტო ხომალდი — განაგრძობს ფრენას ავტომატური რეჟიმით.

16 ნოემბერს დამთავრდა სადგურის გაერთიანებული ძრავის დანადგარის სათბობით ქმაგაწყობის ოპერაციები. აგზებიდან შეკუმშული აზოტის ამოტუმბვისა და საწვავითა და მჟანგავით მათი ავსების პროცესები ხორციელდებოდა ფრენის მართვის ცენტრიდან მიღებული ბრძანებებით და საბორტო ავტომატიკის დახმარებით. ქმაგაწყობის ყველა ოპერაცია ეკიპაჟის მოწყობილობის მიუღებლად.

რევოლუციით გაწვეულნი

თბილისის 26 კომისრის სახელობის წითელდროშოვანი მეთაურთა საარტილერიო უმაღლესი სასწავლებლის მე-60 წლისთავის დღესასწაულობა

ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი სამხედრო სასწავლებლის — თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი მეთაურთა საარტილერიო უმაღლესი სასწავლებლის აღზრდილთა საბრძოლო გმირობის ნათელი მატიანე განუყრელად არის დაკავშირებული საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებასთან. კურსანტთა მეექვსე პოლკი, რომლის ბაზაზეც ექვსი ათწლიანის წინათ შეიქმნა სასწავლებელი, სახელოვანი მეთერთმეტე არმიის შემადგენლობაში უშუალოდ მონაწილეობდა გადამწყვეტ ბრძოლაში რესპუბლიკაში სახალხო ხელისუფლების გამარჯვებისათვის.

სასწავლებლის ისტორია განუყოფელია საბჭოთა არმიის მხედრული დიდებისაგან. მისი კურსდამთავრებულნი იბრძოდნენ სამოქალაქო ომის ფრონტებზე, მოხალისეებად — ესპანეთის რესპუბლიკური არმიის რიგებში, იაპონელი სამურაების წინააღმდეგ ხასანის ტბასა და ხალხინგოლზე, თეთრფინელებთან ომში, დიდი სამამულო ომის ყველა ფრონტზე.

სამშობლოს მაღალი ჯილდოებით აღინიშნა სასწავლებლის საბრძოლო გზა. სამოქალაქო ომის წლებში გამოჩენილი სიმამაცისათვის იგი დაჯილდოდა საპატიო რევოლუციური წითელი დროშით.

დიდი სამამულო ომის წლებში სამშობლოსათვის ბრძოლებში გამოჩენილი სიმამაცის, გულადობისა და გმირობისათვის სასწავლებლის ათასობით აღზრდილი დაჯილდოდა საბრძოლო ორდენებითა და მედლებით. მათგან 44 უმამაცესს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. მათ შორის არიან ჯავშანსატანკო ჯარების მარშალი ა. ბაბაჯანიანი, გენერალ-პოლკოვნიკი ვ. შატილოვი, გენერალ-ლეიტენანტი ვ. ჯანჯღავა, გენერლები და ოფიცრები ვ. ლესელიძე, ა. პირმისაშვილი, გ. ბილანიშვილი, ს. კეთილაძე, ს. ქიაზიმოვი, ს. ოგანოვი და სხვები. ს. ოგანოვი სამუდამოდ არის შეტანილი სასწავლებლის პირადი შემადგენლობის სიაში. სწორედ მათგან იღებს მაგალითს კურსანტთა ახალგაზრდა თაობა.

დღეს აქ საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან ჩამოსული 27 ეროვნების წარმომადგენელები სწავლობენ. წლითიწლობით იზრდება სასწავლებლის პოპულარობა ახალგაზრდობაში, მატულობს ამერკავკასიის რესპუბლიკების მკვიდრ აბიტურიენტთა რიცხვი.

რთული თანამედროვე ტექნიკა დიდ მოთხოვნებს უყენებს ოფიცრებს, ფართოა მათი ცოდნის დიაპაზონი, და შემთხვევითი როდია, რომ სასწავლებლის მასწავლებელთა შორის არის ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, თექვსმეტი მეცნიერებათა კანდიდატი, კურსანტების კიდევ ცხრა დამრიგებელი ემზადება საკანდიდატო დისერტაციის დასაცავად.

სასწავლებლის თერთმეტი კათედრა, სასწავლო მუშაობასთან ერთად, ეწევა ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევითს საქმიანობას, შესაბამისი წვლილი შეაქვს სამხედრო მეცნიერებაში.

ერთ-ერთ კათედრას ხელმძღვანელობს სასწავლებლის კურსდამთავრებული, სამხედრო მეცნიერებათა კანდიდატი პოლკოვნიკი გიორგი აღექსანდროვი, სასწავლებლის საუკეთესო კურსანტთა სტენდზე კი გაკრულია სერჟანტ ბორის ალექსანდროვის —მისი ვაჟის ფოტოსურათი. თაობათა მემკვიდრეობითობა, არტილერისტთა დინასტიის დაბადება სასწავლებლის ერთ-ერთი საუკეთესო ტრადიციაა. მაგალითად, მეზობელ, საბრძოლო სროლის ოსტატებისადმი მიძღვნილ სტენდზე არის კურსანტთა დივიზიონის მეთაურის, სასწავლებლის კურსდამთავრებულის პოდპოლკოვნიკ ლეონიდ სტრუჩალინის სურათი. რამდენიმე თვის შემდეგ ჩვენს არმიას შეემატება კიდევ ერთი ჩინებული არტილერისტი — დივიზიონის მეთაურის ვაჟი ალექსანდრე სტრუჩალინი.

... სასწავლებელს მისი იუბილეს დღესასწაულობის წინ ვეწვეოთ. კორპუსების დერეფნები ცარიელი იყო. № 1 პოსტზე სასწავლებლის დროშასთან გარინდულიყო გუშაგი. უხმოდ დადიოდნენ დერეფნებში მორიგეები. მიმდინარეობდა ჩვეულებრივი მეცადინეობა. აუდიტორიათა კარებზე, უმაღლესი სასწავლებლისათვის ჩვეულ წარწერებთან ერთად — „ფიზიკის კაბინეტი“, „ქიმიური ლაბორატორია“ — მიკრულია ფირფიტები— „სროლისა და ცეცხლის მართვის კლასი“, „ტაქტიკის კაბინეტი“. ყველა სასწავლო ოთახი აღჭურვილია უახლესი მოწყობილობით. კურსანტები სამხედრო მეცნიერებას ეუფლებიან რადიოელექტრონული აპარატების, კინოტრაყერების, სპეციალური ტექნიკის შემწეობით. სასწავლებლის სასწავლო-მატერიალური ბაზა ნიადაგ ფართოვდება. აღიმართა ახალი 9 სართულიანი სასწავლო კორპუსი. აშენდა ტირი, რომელიც ოლიმპიელ მსროლელებსაც კი შეუურდებათ, აგრეთვე სპეციალური სატრენაჟო დარბაზები.

გაისმის ზარი, წვიმის მიუხედავად კურსანტები კორპუსებიდან გამორბიან. „გაცივებისა არ გვეშინია, — იღიმება პირველკურსელი ა. სოლდატოვი, — ჯარისკაცის დღე სუფთა ჰაერზე ვარჯიშით იწყება. ზოგადფიზიკურ მომზადებას კი ჩვენთან ნაკლებ ყურადღებას როდი უთმობენ,“ ვიდრე ლექციებს, სემინარებს, თვითმომზადებას. რა დასამალია და, თავდაპირველად გამეჭირდა: სისხამზე წამოდგომა, მომთხოვნი მეთაურები, დიდი დატვირთვები. ასე მგონია, რომ პირადი საქმიანობისათვის აღარ მრჩებოდა დრო, ახლა ჩავები სამხედრო ცხოვრებაში. მოუთმენლად ველი დეკემბერს — ჩემს სიცოცხლეში პირველ საბრძოლო სროლაზე წავალ“.

კურსანტი ვალერი კარანაძე ებმება უმცროსი ამხანაგების საუბარში:

სასწავლებელში გატარებული წლები მარტო სწავლა, სპეციალური ცოდნის შეძენა არ არის,— ამბობს იგი. ეს არის დავალებების წლები, ცხოვრების სკოლა. ჩვენმა მასწავლებლებმა პრაქტიკულად გვიჩვენეს, როგორ უნდა ნამდვილი ვაჟკაცების აღზრდა. და ჩვენც ვეცდებით მიღებულ ცოდნასთან ერთად მთლიანად გამოვიყენოთ ეს გამოცდილებაც ჯარისკაცებთან და სერჟანტებთან მომავალ მუშაობაში.

დღევანდელი კურსანტები ამრავლებენ მშობლიური სასწავლებლის საბრძოლო დიდებას ჩინებული შეფასებებით საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, ყველა სასწავლო დისციპლინის წარმატებული ათვისებით. სახელგანქმული სასწავლებლის სარდლობა, პოლიტმუშაკები, მასწავლებელთა შემადგენლობა, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები, მთელი კოლექტივი თავის სახელოვან იუბილეს აღნიშნავენ აქტიური მუშაობით იმ დიდ სოციალისტურ ვალდებულებათა შესასრულებლად, რომლებიც იკისრეს სკკპ XXVI ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის აღსანიშნავად.

... დღესასწაულობის საზეიმო ცერემონია დაიწყო სასწავლებლის პლაცზე მისი პირადი შემადგენლობის საზეიმო მარშით. დღეს ხომ ორმაგი დღესასწაულია: ქვეყანა აღნიშნავს სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის დღეს.

კურსანტებმა უზადოდ შეასრულეს სამხედრო-სპორტული ვარჯიში და სტუმრებს აჩვენეს თავიანთი გაწვრთნილობა. მათ მიერ ნაჩვენებმა თეატრალიზებულმა წარმოდგენამ გააცოცხლა სასწავლებლის სახელოვანი ისტორია.

ტრიბუნიდან იუბილარი სასწავლებლის კურსანტებსა და ოფიცრებს მიესალმნენ სპატიო სტუმრები— გენერლები და ოფიცრები, სასწავლებლის ვეტერანები, რომლებიც ჭვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ იუბილეზე.

სტუმრებმა დაათვალიერეს მუზეუმი, გაეცნენ სასწავლებლის სასწავლო-მატერიალურ ბაზას, კურსანტების ცხოვრებასა და ყოფას.

შემდეგ დღესასწაულმა გადაინაცვლა სასწავლებლის კლუბში, სადაც გაიმართა საზეიმო კრება. კრების პრეზიდიუმში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე. მან თქვა:

ძვირფასო ამხანაგებო!

ამ საზეიმო დღეს—ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი სამხედრო სასწავლებლის— თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი მეთაურთა საარტილერიო უმაღლესი სასწავლებლის სახელოვანი მე-60 წლისთავის დღეს — მინდა გავიხსენო ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის ერთი აზრი. საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე ვ. ი. ლენინი წერდა, რომ „ყოველ რევოლუციას მხოლოდ მაშინ აქვს რაიმე ფასი, იგი მას შეუძლია თავის დაცვა“.

თქვენ იცით, რომ სწორედ საბჭოთა ბრძოლებში რევოლუციის მონაპოვრების დაცვის დროს ყალიბდებოდა, მტკიცდებოდა და ეაჟვაცდებოდა ჩვენი არმია. თქვენ იცით, რომ სწორედ იმ ვითარებაში, როცა ვქმნით საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი აღმშენებლობითი შრომის ყველა პირობას, დღესაც ვამრავლებთ ჩვენი შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერებას. ყოველთვის, ყველა წლებში ამ დიდ და პასუხსაგებ მუშაობაში არსებითი წვლილი შეჰქონდათ თქვენი სასწავლებლის მეთაურებს, მასწავლებლებსა და კურსდამთავრებულებს. მისი აღზრდილები განასახიერებენ საბჭოთა მეომრის, განმათავისუფლებელი მეომრის საუკეთესო თვისებებს.

ამ ტრადიციის სახელოვანი ისტორია აქვს. ლეგენდარული მეთერთმეტე არმიის კურსანტთა მეექვსე პო

რევოლუციით გაწვეული

(დასასრული)

სასწავლებლის 44 აღზრდილს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება, 50 ყოფილი კურსანტი გენერალი გახდა, ათასობით კურსდამთავრებული 20-ზე მეტი ეროვნების წარმომადგენელი — დაჯილდოდა საბრძოლო ორდენებით. დიდია სასწავლებლის წვლილი ჩვენი მამაცი შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობისა და საბრძოლო მზადყოფნის განმტკიცების საქმეში. კადრის ოფიცრები — სასწავლებლის აღზრდილები — დღეს მეთაურობენ საბრძოლო შენაერთებს, ნაწილებსა და ქვეგანაყოფებს, რომელთაგან ბევრი სანმუშო გახდა. ეს მიგვაჩნია სასწავლებლის მეთაურთა, პოლიტმუშაკთა და პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის ყველა თაობის, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების უდიდეს დამსახურებად.

საბჭოთა ოფიცრების სახელოვანი ტრადიციების მემკვიდრეობითობა თითოეული საბჭოთა ადამიანის იმ დიდი რწმენის საფუძველია, რომ ჩვენი სამშობლოს საზღვრები ხელშეუვალია, რომ შეძლებთ ჩანასახშივე აღკვეთოთ კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი აღმშენებლობითი შრომის დარღვევის ყოველი ცდა, დავიცვათ ყოველგვარი აგრესიისაგან ჩვენი მეგობრები — სოციალისტური თანამეგობრობის წევრი ქვეყნები.

ვიცით, თუ რა უდიდეს და მრავალმხრივ საქმიანობას ეწევიან ამ მიმართულებით ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

მეტად ხატოვნად დაახასიათა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა ჩვენი ქვეყნის, ცხოვრების, მისი პოლიტიკის მთავარი ნიშნები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 63-ე წლისთავის აღსანიშნავად გამართულ დარბაზობაზე. მან თქვა, რომ საღდესსაუკუნო მსვლელობის დროს მეომრებმა, როგორც შეიფერით, იარაღით ხელში ჩაიარეს, მუშებმა, მოსამსახურეებმა, მეცნიერებმა და მშვიდობიან პროფესიათა სხვა ადამიანებმა — შრომითი გამარჯვებების პატაკებით და კომუნისტურ მშენებლობაში ახალი სახელოვანი საქმეებისათვის მოწოდებებით, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების ლოზუნგებით.

ამ სიტყვებით გამოიხატა ჩვენი პარტიის ბრძნული და შორსმჭვრეტელური ხაზი საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში. როცა დიდ აღმშენებლობითს გეგმებს ვადგენთ და მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ვიბრძვით, არ ვიგიწყებთ, რომ ამ კურსს ეწინააღმდეგებიან ამერიკის შეერთებული შტატებისა და ზოგიერთი სხვა კაპიტალისტური ქვეყნის აგრესიული ძალები, რომლებიც ომის ფსიქოზს აღვივებენ, პეკინის ხელმძღვანელთა ჰეგემონისტური მისწრაფებანი.

აგრესორთა და ჰეგემონისტთა სამხედრო შტაბებში შობილ ახალ სამხედრო დოქტრინებს საკუთრივ გარკვეული მიმართულება აქვთ ჩვენს წინააღმდეგ, ჩვენი მეგობრების წინააღმდეგ, მთელი პროგრესული კაცობრიობის წინააღმდეგ. უკანასკნელი წლების ამბები, ახლო აღმოსავლეთში, სპარსეთის ყურის რაიონსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში შექმნილი ვითარება საკმაოდ მჭევრმეტყველურად მოწმობს ამას. ამგვარ პირობებში, ამგვარ სიტუაციაში ჩვენი ლენინური პარტია განსაკუთრებული სიმკაცითა და თანამიმდევრობით ზრუნავს ჩვენი შეიარაღებული ძალების შემდგომი განმტკიცებისათვის, საყოველთაოსახალხო სიფხიზლის ამაღლებისათვის ჩვენი სამშობლოს მტრების, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის მტრების ყველა და ყოველგვარი ზრახვების მიმართ.

უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი რესპუბლიკის გვერდით განლაგებულია ნატოს ათობით სამხედრო ბაზა, რომ ჩვენ მონდობილი გვაქვს ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს სამხრეთი საზღვრების დაცვა. ამიტომ საჭიროა დღენიადაგ ვამაღლებდეთ მშრომელთა პოლიტიკურ, კლასობრივ სიფხიზლეს, განვუმტკიცებდეთ მათ შეგნებასა და თვითდისციპლინას.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება დიდი კმაყოფილებისგრძნობა არ მოგვგვაროს სასწავლებლის პოლიტიკური განყოფილების, პარტიული ორგანიზაციის საქმიანობამ. უკანასკნელ წლებში ძირეულად შეიცვალა კურსანტის ზოგადი განათლების, კულტურული, ინტელექტუალური დონე, რაც სასწავლებლის კოლექტივს უყენებს ახალ, გაცილებით მაღალ მოთხოვნებს, ვიდრე წინათ. დღეს არ კმარა ადამიანმა ისწავლოს ამა თუ იმ სახეობის იარაღის ან ტექნიკის ხმარება, არ კმარა მისცი მას გარკვეული სპეციალური ცოდნა, საჭიროა კიდევ აღზარდო იგი საბჭოთა ოფიცრად, ესე იგი ჩაუნერგო მას თანამედროვე ხელმძღვანელის ყველა თვისება. სასწავლებლის კომუნისტების უშუალო დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ მის აღსაზრდელთა დიდ უმრავლობას, რომლებიც არმიის ქვეგანაყოფებში მიდიან, სწორედ ასეთი თვისებები აქვს. სასწავლებლის კომუნისტები კვლავაც უნდა იყვნენ საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, სწავლასა და სამსახურში მაღალი მაგალითი მაჩვენებლებისათვის ბრძოლის წინა ხაზზე, პირადი მაგალითითა და მგზნებარენ პარტიული სიტყვით რაზმავდნენ კურსანტებს ერთიან, ერთსულოვან მხედრულ კოლექტივად, რომელიც მზად იქნება ყველაზე რთული და პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტისათვის.

მთელი იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის სისტემაში პარტია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას. ჩვენი წარმატებანი ამ დიდ პასუხსაგებ საქმეში უდავოა. უდავოა ისიც, რომ საბჭოთა საქართველოს მშრომელთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საქმეში უდიდესი წვლილი შეიქვთ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომრებს, მათ შორის ჩვენი დღეგანდელი იუბილარის — თბილისის წითელდროშოვანი მეთაურთა უმაღლესი საარტილერიო სასწავლებლის პირად შემადგენლობას. ჩვენ ყოველ ნაბიჯზე ვხედავთ, თუ რა ინტერესით, მე ვიტყოდი, რა მაღალი მოქალაქეობრივი დაინტერესებით ეკიდებიან ჩვენი ადამიანები ქვეყნის შეიარაღებული ძალების სახელოვან ისტორიას. ეს მეტად პასუხსაგები, მეტად მნიშვნელოვანი მუშაობაა, და იგი უფრო მეტი სიმტკიცით უნდა აწარმოოთ.

ჩვენი შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს მუდამ ახასიათებდათ ერთი თვისება — არ იფარგლებოდნენ მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო საქმეებით. ჩვენ არაერთხელ დავრწმუნებულვართ, რომ ამიერკავკასიის მეომრები ძნელ ჟამს მუდამ მზად იყვნენ დაგვხმარებოდნენ შრომითს ფრონტზეც. ეს ბუნებრივიცაა. საბჭოთა შეიარაღებული ძალები ხომ ხალხის სისხლი და ხორცია, ისინი არსებობს ხალხისათვის, ხალხის საკეთილდღეოდ. ჩვენ ვიცით, რა ინტერესით ადევნებენ თვალს თბილისის საარტილერიო სასწავლებლის მასწავლებლები, კურსანტები იმს, თუ როგორ ასრულებს რესპუბლიკა ჩვენი პარტიის XXV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, მეათე ხუთწლეულის დავალებებს. მეომარმა კარგად უნდა იცოდეს, რის დაცვა მიანდეს.

მოხარული ვართ მოგახსენოთ, ძვირფასო ამხანაგებო, რომ საქართველოს სსრ რესპუბლიკის მშრომელები წარმატებით ასრულებენ ხუთწლიან გეგმას ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით, რომ რესპუბლიკას მომავლის კარგი პერსპექტივები აქვს. წარმატებით ამთავრებენ ხუთწლედს მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, სხვა დარგების მშრომელები. თქვენ უკვე იცით, რომ ჩვენმა მეჩაიეებმა და მევენახეებმა წლეულს რეკორდულ შედეგებს მიაღწიეს. მნიშვნელოვნად მაღლდება ადამიანის მატერიალური კეთილდღეობის დონე.

ჩვენი პარტიის XXVI ყრილობის წინ შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინეს რესპუბლიკის დედაქალაქის კომუნისტებმა. თბილისელებმა ყველა შრომითს კოლექტივს მოუწოდეს ხუთწლედის ფინიშზე მაქსიმალურად დაიჭარონ წარმოების ზრდის ტემპი, რათა ვადამდე, 20 დეკემბრისათვის გაალდონ ხუთი წლის გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

ჩვენი ლენინური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზი გაუსვა, რომ მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმა და ბიუჯეტი „...პარტიის იმ კურსის გაგრძელებაა, რომლის მიზანია ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლება, მატერიალური წარმოების განვითარება და მისი ეფექტიანობის გაუმჯობესება, ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფა, მომმე სოციალისტურ ქვეყნებთან თანამშრომლობის განმტკიცება“.

რესპუბლიკის მეთერთმეტე ხუთწლედი ღირსეული წვლილი გახდება ჩვენი სამშობლოს ეკონომიკური პოტენციალის, მისი თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაში.

მთელ ქვეყანასთან ერთად, მთელ ჩვენს რესპუბლიკასთან ერთად ეგებება თბილისის წითელდროშოვანი მეთაურთა უმაღლესი საარტილერიო სასწავლებელი საბჭოთა კავშირის კომპარტიის XXVI ყრილობას. კარგი საბჭოთა ტრადიციისამებრ თქვენ, ისევე როგორც ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ყველა დანარჩენმა მხედრულმა კოლექტივმა, როგორც რესპუბლიკის ყველა შრომითმა კოლექტივმა, ამ ღირსსახსოვარი მოვლენის აღსანიშნავად იკისრეთ მაღალი სოციალისტური ვალდებულებანი, იბრძვით უმაღლესი მიჯნების მისაღწევად საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, მხედრულ საქმეებში წარმატებათა მოსაპოვებლად. დარწმუნებული ვართ, რომ სასწავლებლის კომუნისტებს, კომკავშირელებს, მთელ პირად შემადგენლობას, ისევე როგორც ყველა მშრომელს, სიტყვა და საქმე ერთი აქვთ.

დღეს რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნდა ბრძანებულებანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი მეთაურთა უმაღლესი საარტილერიო სასწავლებლის, აგრეთვე მეთაურთა, პოლიტმუშაკთა და პროფესორთა შემადგენლობიდან ამხანაგების ჯგუფის დაჯილდოების შესახებ.

ეს ჯილდო აგვირგვინებს ღირსეულ შრომას. იგი კიდევ ერთხელ დამაჯერებლად ადასტურებს სასწავლებლის დამსახურებას, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ იგი კვლავაც დიდ წვლილს შეიტანს მაღალი კვალიფიკაციის სამხედრო სპეციალისტების შემდგომი მომზადების საქმეში, განამტკიცებს შეიარაღებული ძალების ინტერნაციონალურ, პატრიოტულ, რევოლუციურ სულისკვეთებას, განავითარებს ტრადიციულ კავშირს საბჭოთა საქართველოს, მთელი ამიერკავკასიის მშრომელებთან.

სიმბოლურია, რომ თქვენი იუბილეს დღესასწაულობა დაემთხვა საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს — სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის დღეს. ამგვარად, დარბაზში მსხდომ არტილერისტებსა და მერაკეტეებს ორმაგი დღესასწაული აქვთ. ვფიქრობ, რომ ამის გამო დღევანდელი სადღესასწაულო სალუტის ნაწილი შეიძლება სამართლიანად მივაკუთვნოთ თქვენს სასწავლებელსაც.

ნება მიბოძეთ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით გულითადად მივულოცო ეს სახელოვანი იუბილე იმათ, ვინც სხვადასხვა დროს გაიარა მხედრული მეცნიერების კურსი თბილისის საარტილერიო სასწავლებელში, მის კურსანტებს, დღევანდელ სარდლობას, პოლიტიკურ განყოფილებას, პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, მუშებსა და მოსამსახურეებს.

დასასრულ მინდა ვთქვა შემდეგი: თითოეული ჩვენგანი მზად არის სამშობლოს განსაცდელის ჟამს მოიხადოს თავისი ვალი მის წინაშე, მკერდით დაიცვას იგი. მაგრამ არიან ადამიანები, რომლებისთვისაც სამშობლოს დაცვა პროფესიაა, ვაჟკაცური და საპატიო პროფესია. ესენი არიან პარტიისა და ხალხის ერთგული, მხურვალე გულის, ძლიერი და ალალი ადამიანები. ესენი არიან ჩვენი ოფიცრები. მინდა სასწავლებლის მთელ კოლექტივს ვუსურვო ახალი დიდი წარმატებები ღირსეულ ოფიცერთა კადრების მომზადებასა და აღზრდაში, ახალი მიღწევები ჩვენი ლენინური პარტიის XXVI ყრილობის აღსანიშნავად, ჩვენი დიადი სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დიდებისა და ძლიერების სასახელოდ!

ნება მიბოძეთ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მინისტრთა საბჭოს სახელით გადმოგცეთ ცენტრალური კომიტეტის, პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მისალმება და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი.

მინდა ერთხელ კიდევ ვუსურვო სასწავლებლის სარდლობას, პოლიტგანყოფილებას, პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, მსწავლებლებს, კურსანტებს, მთელ თქვენს მეგობრულ, შეკავშირებულ კოლექტივს ახალი გამარჯვებები საბჭოთა შეიარაღებული ძალების განმტკიცების, ჩვენი დიადი სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების ამაღლების საქმეში!

✦ ✦

სასწავლებლის საბრძოლო გზის, მისი დღევანდელობის შესახებ ილაპარაკეს თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი მეთაურთა საარტილერიო უმაღლესი სასწავლებლის უფროსმა არტილერიის გენერალ-მაიორმა ვ. გ. შუვალოვმა.

კრებაზე გამოვიდნენ არტილერიის გენერალ-მაიორი ა. ნ. ივასიკი, სასწავლებლის 1941 წლის კურსდამთავრებული, სამხედრო მეცნიერებათა კანდიდატი პოლკოვნიკი რ. პ. აგრიკოვი, თბილისის დმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ხარატი, რესპუბლიკის ახალგაზრდობის დამსახურებული დამრიგებელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ტ. ვ. როსტიაშვილი, თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ტ. დ. რომელაშვილი, საშეფო სკოლის პიონერები, რომლებმაც მიულოცეს და ახალი წარმატებანი უსურვეს იუბილარებს.

საზეიმო კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად გაუგზავნეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტს, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს.

საიუბილეო საღამო დამთავრდა დიდი სადღესასწაულო კონცერტით. (საქინფორმი).

ზრდის, აღმავლობის გეგმები

რსფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესია

19 ნოემბერს მოსკოვში, კრემლის დიდ დარბაზში გაიხსნა რუსეთის სფს რესპუბლიკის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია.

დეპუტატები და სტუმრები მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ი. ვ. ანდროპოვს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ა. გრომიკოს, ა. პ. კირილენკოს, გ. ვ. რომანოვს, მ. ა. სუსლოვს, დ. თ. უსტინოვს, კ. უ. ჩერნენკოს, ვ. ვ. კუზნეცოვს, მ. ს. სოლომენცევს, ი. ვ. კაპიტონოვს, ვ. ი. დოლგიხს, მ. ვ. ზიმიანინს, კ. ვ. რუსაკოვს.

სესიის დღის წესრიგშია რუსეთის სფს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმისა და რუსეთის სფს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის, რუსეთის სფს რესპუბლიკის 1981 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და რუსეთის სფს რესპუბლიკის 1979 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების, რუსეთის სფს რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭოების შესახებ რუსეთის სფს რესპუბლიკის კანონის პროექტისა და რუსეთის სფს რესპუბლიკის ეროვნული ეკონომიკის ბრძანებულებათა დამტკიცების, ... ეროვნული ეკონომიკის ... ...

სითბო — დაღვრილი ლაქვარდში

აჭარაში მიმდინარეობს თბილისის დღეები

ჩვენი წინა რეპორტაჟი უნდა განვაგრძოთ. მეგობრული შეხვედრების პირველი დღის საღამოსს ბათუმის საზოგადოებრიობა კინოთეატრ „თბილისში“ შეიკრიბა. აქ გაიმართა შეხვედრა ქართული კინოს ოსტატებთან, რომელიც აჭარის ასსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ლ. ბოლქვაძემ გახსნა. შეხვედრაზე გამოვიდნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი ი. აბულაძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი რ. სტურუა, რესპუბლიკის სახალხო არტისტი მ. ხინიკაძე. შემდეგ კი მაყურებელს წარუდგინეს ორი ახალი ქართული კინონაწარმოები: მხატვრული ფილმი „კიკვიძე“ და დოკუმენტური — „შექსპირის საშობლოში“. უნდა გენახათ, რა გულთბილად მიესალმებოდა ყველა დამდგმელ ჯგუფს, რეჟისორებს გ. კალატოზიშვილს და გ. გაბესკირიას, დ. მატარაძესა და რ. სტურუას.

შეხვედრების მეორე დღე რომ გათენდა, ასეთ დილას უპირველესად მასპინძლები ნატრობდნენ. ვადიდარა, გაცისკროვნდა ირგვლივ ყოველივე. ალბათ ასეთ დღეზე თქვა გალაკტიონმა: „რა არის ოქრო აჭარის უსაზღვრო სილაჟვარდეში? ეგ არის ზეცა, ეგ არის ბნათობი ცისფერ ბადეში“.

თბილისის დღეების მონაწილენი ჯგუფებად დაიყვნენ და ეწვივნენ ქალაქის სამრეწველო საწარმოებს, სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებებს...

მარტო ბათუმელებისა კი არა, მთელი საქართველოს სიამაყეა ერთ-ერთი უძველესი საწარმო — ბათომგადასამუშავებელი ქარხანა, რომელსაც ეწვივნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. მენთეშაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პაპუნიძე და სხვა ხელმძღვანელი ამხანაგები.

ქარხნის დირექტორი ე. გვენცაძე სტუმრებს ესაუბრა ქარხნის ისტორიაზე, საწარმოს შრომითის მიღწევებზე. ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში გვერდიგვერდ შრომობენ თვრამეტი ეროვნების ადამიანები, რომელთა მიერ გამოშვებულ პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილებაა როგორც ჩვენთან, ისე საზღვარგარეთ.

— რომ იცოდეთ, ჩვენი მუშამოსამსახურეების რა სიხარულსა და შრომითს აღმავლობას იწვევს შემოქმედებითი ინტელიგენციის სტუმრობა და მით უფრო თბილისდან. აი, მაგალითად, პირადად გავიცანი სახელოვანი რეჟისორი თ. აბულაძე, რომლის შემოქმედება დიდად საამაყოა ჩემთვის, როგორც ქართველი კაცისათვის, — გვეუბნება ქარხნის თბოელექტროცენტრალის უფროსი მ. ჯავჯანიძე.

სტუმრებმა დაათვალიერეს ქარხნის საამქროები, მუშა-მოსამსახურეთა დასახლება, კულტურის სასახლე, სადაც მათთვის სახელდახელოდ კონცერტი გამართეს ბათუმის სკოლის მოსწავლეებმა და ქარხნის თვითმოქმედი კოლექტივის წევრებმა.

აჭარა ყოველთვის იყო ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ყურადღების ცენტრში. რამდენი ლექსი, მოთხრობა, პუბლიცისტური წერილია შექმნილი მის წარსულსა და აწმყოზე... ასზე მეტი წლის წინათ ერის სულიერი მამა ი. ჭავჭავაძე წერდა, რომ „აჭარას „დიდი შრომა გაუწევია, დიდი მსხვერპლი მოუტანია, მრავალი სისხლი დაუნთხევია ჩვენთან ერთად საქართველოს ერის თვით-არსებობისათვის“...

და სწორედ სიყვარულის წილ უნდა ეწოდოს იმ ფაქტს, რომ აჭარის მშრომელებმა გუშინ ბათუმში დიდი მწერლის სახელობის სახელმწიფო თეატრის წინ, სკვერში, საფუძველი ჩაუყარეს ილია ჭავჭავაძის ძეგლს.

საზეიმო ცერემონიალი გახსნა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. უნგიაძემ. სიტყვები წარმოთქვეს პოეტმა-აკადემიკოსმა ი. აბაშიძემ, დოცენტმა ვ. ქემხაძემ, პოეტმა მ. ვარშანიძემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა მ. ხინიკაძემ. მოზღვავებულმა გულის სითბომ და სიყვარულმა კიდევ უფრო დაამშვენა ეს შთაბეჭდილებანი.

მ. გორგილაძე,
ვ. მარდალეიშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ტრაგედია ქვიტირში

აი სადამდე მიჰყავს კერძომესაკუთრულ ფსიქოლოგიას ადამიანი

ყველაზეზე პროკურატურის უფროსი გამომძიებელი, თავადაც ახალგაზრდა ჯონდო სულაძე აღშფოთებას ვერ ფარავს იმის გამო, რომ მხოლოდ თვრამეტ წელს მიტანებული, მაშასადამე არასრულწლოვანი მერაბ ბაბუნაშვილი სიცოცხლეს უსპობს უდანაშაულო ადამიანს, თითქმის კარის მეზობელს, მილიციის ლეიტენანტს ელგუჯა ჭეიშვილს.

— როგორ უნდა გაიმეტოს ადამიანი, თუნდაც დამნაშავე, სასიკვდილოდ, ისიც მოზარდმა, როცა ზოგი მისი თანატოლი ქათამსაც ვერ დაკლავს.

რა არის სოფელ ქვედა ქვიტირში დატრიალებული ტრაგედიის მიზეზი? რამდენიც უნდა ჩხრიკო ამ უბედურების გორგალი, სათავე ერთია — ზოგიერთი უკეთური ადამიანის სიხარბე, გაუმაძღრობა, შურიანობა...

სოფელ ქვიტირში ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობენ ძმები ბონდო, გივი და გურამ ბაბუნაშვილები. ჰყავთ ცოლშვილი, აქვთ მშვენივრად მოვლილი საკარმიდამო ნაკვეთები, კარგი სახლები, სარგებლობენ ცხოვრების ყველა სიკეთით, მაგრამ უკეთურობა ჰირთ — ძმები ერთმანეთის კეთილდღეობას ვერ იხელებენ! ერთს არ სძინავს, თუ მეორემ მასზე მეტი ქონება შეიძინა.

ბაბუნაშვილების დაუსრულებელ მაკიბლაობამ და ჩხუბმა, განსაკუთრებით — გივისა და გურამისამ, სოფელი შეაწუხა. ამ ორის ურთიერთობა კიდევ უფრო გამწვავდა, როცა მოხუცებული დედა გარდაეცვალათ და აღმოჩნდა, რომ ანდერძის მიხედვით მისი უძრავ-მოძრავი ქონება გურამს რჩებოდა.

„ძმა ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო“... უთქვამთ ჩვენს ძველებს, ასე უცხოვრია ქართველს ოდითგან, მაგრამ ბაბუნაშვილების ცხოვრების წესში ამ შეგონების ნიმანწყალიც არ ჩანს.

დავუშვათ მოხუცი დედა შეიცდა, როცა ქონება შვილებს თანაბრად არ გაუნაწილა, შესაძლოა ამის გამო მათ გულიც დასწყდათ, მაგრამ რომელიმეს ადამიანობა რომ გამოეჩინა, ხომ შეიძლებოდა ამ შეცდომის მშვიდობიანად მოგვარება.

სიხარბის გამო ძმებმა ვერ შეძლეს დაეთმოთ ერთმანეთისთვის, ქონების გასაყოფად ირბინეს საბჭოს აღმასკომსა და მილიციაში, შეაწუხეს სოფელი და ნათესავ-მოკეთე. დავას ოჯახის წევრებიც აჰყვნენ. დაერივნენ ერთმანეთს, სიცოცხლეც გაიმწარეს და საქვეყნოდაც თავი მოიჭრეს. ქვაბ-ქოთნისა და ორი ქათმის გაყოფას შესწირეს საკუთარი თავიც და სხვაც.

იმ დღეს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გივი ლორთქიფანიძე და საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ვარლამ მამისეიშვილი სადავო საკითხის გასარკვევად და მოსაგვარებლად ეწვივნენ ბაბუნაშვილებს. ოჯახის წევრები სტუმრებსაც არ მოერიდნენ, მიუხტნენ ერთმანეთს ლანძღვა-გინებით. სოფლის ხელმძღვანელები ვერაფერს გახდნენ, ჩხუბს ბოლო არ უჩანდა, ამასთან ერთ-ერთი ძმა, გურამიც სახლში არ იყო და ამიტომ საკითხის განხილვა სხვა დროისათვის გადადეს. ნერვიულობამ ცუდად იმოქმედა გურამის მეუღლეზე ეთერ მამასახლისზე, წნეგამ აუწია, სასწრაფო დახმარების მანქანა გამოიძახეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ და გარდაიცვალა.

დედის გარდაცვალების ამბავი მერაბმა შეიტყო თუ არა, არც დაფიქრებულა, ბიძისა და მისი ოჯახის ამოწყვეტა გადაწყვიტა. ამ განზრახვით ირბინა სამი კილომეტრი, რომ დედის ნათესავის შუქრი მამასახლისის სახლამდე მიეღწია, რადგან იქ სანადირო თოფი ეგულებოდა.

მკვლელობა არ მოხდებოდა, ოჯახში თოფის შენახვის წესი რომ დაეცვათ და ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე არ დაეგდოთ იგი, შუქრის მეუღლე შეეცადა თოფი არ დაენებებინა, მაგრამ ბიჭმა ადვილად გამოსტაცა და ბიძის მოსაკლავად გაიქცა. ბიძა თავის ოჯახის წევრებით გახიზნული დახვდა. ჯავრი პირუტყვზე იყარა.

თოფის ხმაზე მთელი სოფელი შეიყარა, მაგრამ გამხეცებული ბიჭის დამოშმინება ვეთარი სიცოცხლე მიანდო ბიჭს, ეგონა მოფერებით გულს მოულბობდა მას, ფრთებს შეაკვეცავდა ავკაცობას, მაგრამ მტაკუუვდა — არაკაცი გამოდგა და გასწირა. ასე დაეცა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მილიციის ლეიტენანტი ელგუჯა ჭეიშვილი.

ელგუჯას უყვარდა ადამიანები და მუშაობაში იგი მხოლოდ ჰუმანურობას ემყარებოდა, ამისთვის იფასებდნენ და პატივს სცემდნენ რაიონში, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მთელ სისტემაში.

ახალგაზრდა მუშაკის სიკვდილმა დიდი სინანული გამოიწვია. ელგუჯა ჭეიშვილი მილიციაში კომკავშირის საგზურით მივიდა. კომკავშირმა დაიფასა მისი ღვაწლი. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებით სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების — საზოგადოებრივ წესრიგის დაცვის დროს გამოჩენილი გმირობის, სიმამაცისა და თავგანწირვისათვის წყალტუბოს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების არასრულწლოვანთა საქმეების უბნის ინსპექტორის, მილიციის ლეიტენანტის ელგუჯა პავლეს ძე ჭეიშვილის სახელი (სიკვდილის შემდეგ) შეტანილია საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო წიგნში.

ჭეიშვილის კარგ ადამიანობაზე ბევრი ითქვა, ბევრის თქმაც შეიძლებოდა, მაგრამ ჩვენი წერილის მიზანი სხვა არის — ხაზი გაგვესვა, თუ რაოდენ მავნეა კერძომესაკუთრული ტენდენციები, რომ მოწმენი ვართ სიხარბითა და შურით გამოწვეული არაერთი და ორი უბედურებისა, და აი, ამ ფაქტებს სოფელ ქვიტირში მომზდარი ტრაგედიაც მიემატა.

დ. გედენიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

სოფლის თვალწინ

გავუფრთხილდეთ სახალხო დოვლათს

ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეებმა და მევენახეებმა, არა ხელსაყრელი კლიმატური პირობების მიუხედავად, მამაცური გარჯით არნახული მოსავალი მოიწიეს, ნაკისრი ვალდებულებები გაანაღდეს და სამშობლოს შრომითი გამარჯვება უპატაკეს. მათ არც მეხილეები და მებოსტნეები ჩამორჩებიან, მთელი კოლმეურნე გლეხობა პატიოსანი და ალალი შრომით ამდიდრებს დოვლათს და ოჯახშია ნაშემოდგომო დღესასწაული უდგას. „ოქროს რთველისათვის“ მოემზადნენ მეცატრუსენიც და ფიქრობენ არც ისინი დაუდებენ ტოლს მოწინავეებს. მაგრამ, სამწუხაროდ, რესპუბლიკის გამრჯე, პატიოსან გლეხობას შორის ჯერ კიდევ გვხვდებიან ციცქნა სულის ადამიანები, რომელთაც ეკრძომესაკუთრული ჩვეულები ძველ-რბილში აქვთ გამჯდარი და ზედმეტი მანეთისათვის მზად არიან ფეხქვეშ გათელონ საკუთარიც და სხვისი ღირსებაც. ეს ადამიანები ადრეულად შეესივნენ, მოირთველიანეს მწვანე მანდარინი და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გასატან გზას დაადგნენ.

14 ოქტომბერს გაგრაში დააკავეს ავტომანქანა „ეიგული“ (სახელმწიფო ნომერი 66-06 გაზ), რომელსაც მართავდა დაბა განთიადში მცხოვრები, სოფელ ხაშფსის კოლმეურნეობის მეურნე ხაჩიკ კუნდოხჩიანი. მას სოფელ ლიძავაში მცხოვრებ კონსტანტინე აგუმავას კუთვნილი 330 კილოგრამი მანდარინი გაჰქონდა გასაყიდად რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.

კონსტანტინე აგუმავას და ხაჩიკ კუნდოხჩიანის გზას გაჰყვნენ ოჩამჩირის რაიონის სოფელ არაკიჩის მცხოვრებნი ოპანეს სულთანიანი და კარაპეტ მინასიანი, რომელთაც, ერთს „ეიგულით“, ხოლო მეორეს ახალთახალი „ვოლგიი“ 719 და 874 კილოგრამი მანდარინის გაპარება განეზრახათ, მაგრამ ისინი ეშერასთან დააკავეს. 17 ოქტომბერს გულრიფშის რაიონის სოფელ დრანდაში დააკავეს ორი „ვოლგა“ (სახელმწიფო ნომრები 93-61 გგზ და 90-93 გაე), რომელთაც ოჩამჩირის რაიონის სოფელ ლაბრას მკვიდრნი ნეტ კეისიანი და ნეტ ავედიანი მართავდნენ, მათ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სურდათ გაეპარებიათ სამი ტონა მკვახე მანდარინი. ზემოჩამოთვლილ ქორვაჭრებს არ ჩამორჩნენ გუდაუთის რაიონის დაბა ახალი ათონის მკვიდრი ბონდო თოდუა და ოპანეს არუთინიანი, გულრიფშის რაიონის სოფელ შაბათკვარში მცხოვრები სილვია არუთინოვა. მერხეულელი ენდი გახარია, რომელნიც საკუთარი ავტომობილებით ცდილობდნენ ზედმეტი მანეთის ჩასაჯიბავად რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაეტანათ 1183 კილოგრამი მწვანე მანდარინი.

სამწუხაროა, რომ ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთი მოქალაქე ვერ ხედავს იმ დიდ მორალურ ძვრებს, რომლებიც უკანასკნელი წლების მანძილზე მოხდა საქართველოში, მხარი ვერ აუბა იმ ყოფას, რომელიც ახლა ჩვენში სუფევს, მაგრამ უფრო დასანანია, რომ ამ ქორვაჭრების ფარფაში არცთუ ისე მალულად ხდება და ამაზე თვალს ხუჭავენ სოფლის ის თავკაცები, რომელთაც მეტი ყურადღების გამოჩენა მართებთ. როგორ დავიჯეროთ, რომ რამდენიმე დღე მოაკლდეს მეურნე თავის სამუშაოს, თავის რგოლს, მაშინ, როდესაც თითოეული მარჯვენა ზვარში თუ პლანტაციაში ოქროდ ფასობს, ის კი თავაღერილი ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მდებარე ბაზრებისკენ მიიჩქარის და კოლმეურნეობაში თუ საბჭოთა მეურნეობაში მისი მომკითხავი და გამკითხავი არავინ არის. სწორედ ამაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება სოფლის თავკაცებმა, სწორედ მათ მართებთ ამოძირკვონ ის სარეველა, რომელიც მათ სოფელს, მათ კოლმეურნეობას არცხვენს.

„ოქროს რთველი“ უკვე შემობრძანდა. პატიოსან კოლმეურნე გლეხობას, რომელიც ციტრუსების პლანტაციებში შრომობს, სურს გვერდში ამოუდგეს გამარჯვებულ მეჩაიეებს და მევენახეებს. მეციტრუსეებს, ბეჯით გარჯასთან ერთად, თავიანთ რიგებში მტაცეკ დისციპლინის დამყარებაც მართებთ, მათ ყველაფერი უნდა იღონონ, რათა არც ერთ ქორვაჭარს არ გაფრობდეს თვალი სხვა რესპუბლიკების ბაზრებისაკენ.

სარეიდო ბრიგადა.

საქმოსნები თავს გადიან

როცა წარმოებას ხელოსნები აკლია

საფინანსო და შინაგან საქმეთა ორგანოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა გამოაცალონ უნებართვო შინამრეწველი საქმოსნები, მათ მიმართ მიიღონ კანონით გათვალისწინებული ზომები.

მიმდინარე წელს რესპუბლიკის საფინანსო ორგანოებმა 1172-ზე მეტი ასეთის ხელოსანი გამოავლინეს. აქედან შინამრეწველური საქმიანობის ნება ჰქონდა 881 მოქალაქეს, ხოლო 291 კანონს არღვევდა — უნებართვოდ მუშაობდა. შინაგან საქმეთა ორგანოებმა კი ამავე პერიოდისთვის 211 შინამრეწველი გამოავლინეს, მათ შორის 111 ნებართვის მქონე, ხოლო 100 — უნებართვო.

აღსანიშნავია, რომ ამ საქმეს ყველა სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდება, მაგალითად, თბილისის, ბორის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ყვარლის, სამტრედიის, წითელწყაროს და ზოგიერთი სხვა რაიონისა და ქალაქის შინაგან საქმეთა განყოფილებებს არაფერი გაუკეთებიათ შინამრეწველ ხელოსანთა გამოსავლენად.

უმნიშვნელოა შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ გამოვლენილ ხელოსანთა რიცხვი აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ვანის, ქარელის, ზაშურის და სხვა რაიონებში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურეობაში დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციის კომისიის დავალებით საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ შექმნა ბრიგადები, რომლებმაც პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების, საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით შეამოწმეს უნებართოდ მომუშავე შინამრეწველ ხელოსანთა მიმართ განხორციელებული ღონისძიებები აჭარის ასს რესპუბლიკაში (ბათუმი, ქობულეთი, ხელვაჩაური), თბილისში (ლენინის, პირველი მაისის, კალინინის, საქარხნო რაიონები), აგრეთვე ახალციხის, ბორჯომის, გეგეჭკორის, გურჯაანის, თიანეთის და სხვა რაიონებში.

საფინანსო ორგანოების მიმართ დაწესებული კონტროლის მიუხედავად, ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის ადმინისტრაციული კომისიის მუშაობაში შეინიშნება ნაკლოვანებები. აღურიცხავი რჩებათ შინ მომუშავე ხელოსნები, ხოლო გადაცემულ საქმეებს ან დაგვიანებით იხილავენ ან სულაც განუხილავად ტოვებენ; დაკისრებული ჯარიმების გადასახდევინებლად ზომებს არ იღებენ და სხვა. მაგალითად, ქობულეთის რაიონის ადმინისტრაციულმა კომისიამ მიმდინარე წელს 16 საქმიდან 10 ვადის დარღვევით განიხილა. 7 საერთოდ არ განუხილავს, აქედან ორი საქმე ხანდაზმულობის გამო განხილვას არ ექვემდებარება. მსგავსი მდგომარეობაა ჯარიმების გადახდევინების შემოხვევაშიც. სამ მოქალაქეს ჯარიმა არ გადაუხდია, ერთის საქმე უკვე ხანდაზმულია. ანალოგიური ან სხვა სახის დარღვევები გამოვლინდა ბათუმის საქალაქო საბჭოს, ლაგოდეხის საქალაქო, ცხაკაიას რაიონული და სხვა საბჭოების აღმასკომებთან არსებული კომისიების მუშაობაში.

ყოველივე ზემოთქმული იმაზე მეტყველებს, რომ მეტი კონტროლი და ქმედითი საქმიანობაა საჭირო უნებართვო შინამრეწველ ხელოსანთა და საქმოსანთა ასალგამავად.

ნ. ნუცუბიძე.

გზა რომ იყოს მშვიდობიანი...

მიმდინარეობს მოძრაობის უსაფრთხოების დათვალიერება

ჩვენი ქვეყნის საავტომობილო გზებზე მნიშვნელოვნად გაიზარდა ავტომოტორანსპორტის რიცხვი და, ბუნებრივია, მოძრაობის ინტენსიურობაც. ამასთან ძალაში შედის შემოდგომა-ზამთრის პერიოდი ხშირი წვიმებით, ნისლიანობით და სხვა რთული მეტეოროლოგიური პირობებით, რაც კიდევ უფრო მეტ საშიშროებას უქმნის ტრანსპორტისა და ქვეითთა მოძრაობის უსაფრთხოებას.

ამიტომაც ახლა მიმდინარეობს მოძრაობის უსაფრთხოების დათვალიერება. იგი ამოცანად ისახავს ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობასა და მძღოლთა შემადგენლობაში აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებას მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე სატრანსპორტო მეურნეობების ხელმძღვანელთა მიმართ მომთხოვნელობის გაზრდას საავტომობილო ტრანსპორტის ტექნიკური გამართულობისათვის, რაც თავისთავად დიდ გავლენას ახდენს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა რიცხვის შემცირებაზე.

რასაკვირველია დათვალიერების ძირითად მიზანს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების, საგზაო მოძრაობის წესების დამრღვევ მძღოლთა და ქვეითთა წინააღმდეგ ბრძოლის აქტივიზაციაც შეადგენს.

ამ დიდი სახელმწიფოებრივი ღონისძიების მოწყობაში, რომელსაც აღნიშნული დათვალიერების პროგრამა შეიცავს, მარტო სახელმწიფო ავტონესპექციის ძალები არ ყმარა. ამიტომაც ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში მთელი ენერგიით ჩაებნენ რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროები და უწყებები: საავტომობილო ტრანსპორტის, საავტომობილო გზების, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის სამინისტროები, „ცეკავშირის“ გამგეობა, საქართველოს სსრ სოფლტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი, აგრეთვე სხვა სამინისტროები და უწყებები, რომელთაც აქვთ ავტოსატრანსპორტო საწარმოები. მათ გამოჰყვეს სპეციალური კომისიები სახელმწიფო ავტონესპექციის დასახმარებლად. აწყობენ მორიგეობასა და რეიდებს გზებზე, ამოწმებენ გზებს შემოდგომა-ზამთრის პირობებში ექსპლოატაციისათვის. ავტოტრანსპორტის რეისში გასვლის წინ ავტომეურნეობებში იმართება კრებები, რათა ტრანსპორტის თითოეულ მუშაკს განემარტოს მოძრაობის უსაფრთხოების დათვალიერების მიზანი და ამოცანები.

ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარებაში ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან აგრეთვე სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების, ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოებების მუშაკები, სახალხო რაზმელთა სპეციალიზებული ჯგუფები და სხვა.

გააქტიურდა საგზაფაციო-პრომპაგანდისტული მუშაობაც, რომლის არსენალში მრავალი ეფექტიანი საშუალება და მეთოდია. მაგალითად, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების შესასვლელებში თვალსაჩინო ადგილებზე გამოაკრეს შესაბამისი ტრანსპარანტები, ლოზუნგები, რომლებიც ძმღოლებსა და ქვეითებს აწვდიან ცნობებს დათვალიერების მიმდინარეობის შესახებ. საქართველოს ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითმა საზოგადოებამ გამართა ლექციები და საუბრები ავტომოტორანსპორტის ინდივიდუალურ მფლობელთა შორის მოძრაობის უსაფრთხოების თემებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი საქართველოს კინოთეატრებში აწყობს მოძრაობის უსაფრთხოების თემაზე შექმნილი კინოფილმების დემონსტრირებას. სათანადო ორგანიზაციების საშუალებით მომზადდა და მოსახლეობაში გავრცელდა პლაკატები, მოწოდებები, სამახსოვროები, იმართება თემატური საუბრები და სხვ.

დათვალიერებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა ფართო კომპლექსში ბავშვთა საგზაო-სატრანსპორტო ტრავმატიზმის პროფილაქტიკას ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უკავია, რომელიც მტკივნეული პრობლემაა არა მარტო სახელმწიფო ავტონესპექციისათვის, არამედ თითოეული ჩვენი მოქალაქისათვისაც.

სახელმწიფო ავტონესპექციამ მთელი რიგი ღონისძიებები განახორციელა იმისათვის, რომ ჩვენს გზებზე არ იღუპებოდეს, არ ხეიბრდებოდეს ნორჩი თაობა. დიდი ტირაჟით გამოიცა და რესპუბლიკის სამაგზაო-საბაღებში გავრცელდა ნორჩი ქვეითებისათვის განკუთვნილი მოძრაობის უსაფრთხოების თემაზე შექმნილი პლაკატების სერია. რესპუბლიკის ბევრ ბაგა-ბაღში მოეწყო საჩვენებელი ავტომოედნები, რომლებიც აღჭურვილია სბავშვო ავტომობილებით და ველოსიპედებით, შუქნიშნებით, საგზაო ნიშნებით, მოედნები მონიშნულია უსაფრთხოების ხაზებით. ამ მოედნებზე ბავშვები, გარდა იმისა, რომ ერთობიან, იძენენ საჭირო ცოდნას უსაფრთხო მოძრაობისათვის, მათ შეფობას სახელმწიფო ავტონესპექციის მუშაკები უწევენ.

გარდა ამისა, მოძრაობის უსაფრთხოების დათვალიერების დროს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან ერთად დამატებით ანხორციელებენ ბავშვთა სატრანსპორტო ტრავმატიზმთან ბრძოლის ღონისძიებათა კომპლექსს. ამ ღონისძიებათა წარმატებით განხორციელებაში თავიანთი წვლილი შეაქვთ კომკავშირულ ორგანიზაციებს, მოძრაობის ნორჩ ინსპექტორთა რაზმებს, მშობელთა უნივერსიტეტებს, სახლმმართველობათა მუშაკებს და სხვ.

დათვალიერება საერთო-საზოგადოებრივი ღონისძიებაა და მასში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს თითოეულმა მოქალაქემ.

ვ. როგავა,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტონესპექციის უფროსი, მილიციის მაიორი.

ბოლო

ბოლოს

ბოლოს ბოლოს ბოლოს ბოლოს
ბოლოს ბოლოს ბოლოს ბოლოს
ბოლოს ბოლოს ბოლოს ბოლოს
ბოლოს

ᲗᲕᲘᲗᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲔᲑᲘ

„ისინი ბედნიერნი არიან! ბედნიერნი არიან, რომ მღერიან და ცეკვავენ, რომ ხალხი ტაშს უკრავს მათი ქვეყნის სულის ნაწილაკს... ეს ფოლკლორი არ შეცვლილა ურიცხვი ურდოების შემოსევების მიუხედავად, და თუ წინათ საკუთარი მიწა-წყალი მათ ყოველთვის არ ეკუთვნოდათ, სული მაინც ხელუხლებელი რჩებოდათ. საქართველოს სპეტაკი და მოზეიმე სული კავკასიონის დათოვლილი მთებიდან გადმოვიდა და სულგანაბული დარბაზის სუნთქვად იქცა...“

ვერწმუნოთ ფრანგული გაზეთის რეცენზენტის ამ სიტყვებს. ოღონდ ერთი რამ დავსძინოთ: ხალხური შემოქმედება არ არის რაღაც გახევებული რამ, იგი ხალხის ცხოვრების პირობებთან და ერის თვითშეგნებასთან ერთად იცვლება. თანამედროვე სოციალისტურ საქართველოში ეროვნული კულტურა, ხალხური შემოქმედება, პროფესიული ხელოვნება საზოგადოების სულიერი ყოფიერებისა და მოკლეაქის სოციალური ცხოვრების განუყოფელი შემადგენელი ნაწილი გახდა. ტენდენციები მკაფიოდ არის გამოხატული. ეს გახლავთ წარსულის მხატვრული ტრადიციების გააზრება და აქტიური მოქცევა თანამედროვის სულიერ სამყაროში.

ახალი ტრადიციების ფორმირება, როგორიც არის, მაგალითად, მასობრივი სახალხო დღესასწაული, ჩვეულებრივ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატებსა და კლასიკოსებს რომ ეძღვნება და, როგორც წესი, ისტორიისა და კულტურის თვალსაჩინო ძეგლების მახლობლად რომ იმართება. კულტურული პოლიცენტრიზმი, რომელიც გაშოხატულია მისწრაფებით — ესთეტიკური აღზრდისა და განათლების კერები შეიქმნას ყველგან, ცენტრად და პერიფერიად დაყოფის გარეშე. აქტიური და ცოცხალი ურთიერთობა მოძმე ხალხების ეროვნულ კულტურებთან, მისწრაფება — რაც შიძლება სრულად გადაუშალო მსოფლიოს მხატვრული და მატერიალური კულტურის სალარო. საქართველოში მშვენიერება უფლობს. განსაკუთრებით ეს საგრძნობია დღეს, როცა მთელ რესპუბლიკაში ფართოდ დაიწყო მშადება საბჭოთა საქართველოს 30-60 წლისთავისადმი მიძღვნილი მშრომელთა თვითმოქმედი მხატვრული შემოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის.

ესთეტიკური აღზრდის პრობლემებს ეძღვნება საქინფორმის კორესპონდენტის ს. ჩიაეთას საუბარი საქართველოს სსრ კულტურის მინისტრთან, სსრ კავშირის სახალხო არტისტთან ო. თაქთაქიშვილთან.

კორესპონდენტი: —ესთეტიკური აღზრდის არსსა და მიზნებზე ბევრი დაიწერა და თქვა. საინტერესოა თქვენი აზრი: რატომ დადგა ეს პრობლემა ასე მწვავედ აწორედ ახლა?

ო. თაქთაქიშვილი: უწინარეს ყოვლისა მინდა ხაზი გავუსვა ი რა: ესთეტიკური აღზრდა აღმზრდელობით მუშაობაში იზოლირებული მიმართულება როდია, რომელიც შეიძლება იყოს აღმზრდელობითი მუშაობის შემადგენელი ნაწილი და შეიძლება არც იყოს. თუკი ის „მაინც არ არის“ სულ ერთია, ყოველი მოქმედება, საქციელი, სიტყვა ესთეტიკურადაც ზრდის ადამიანს. სხვა საქმეა, კარგად ზრდის თუ ცუდად. სამყაროს შემეცნებას და ადამიანის საკუთარ საქმიანობას, გარემოს, რომელიც ადამიანს უხდება ყოფნა, თავისი ესთეტიკური მხარე, ესთეტიკური შინაარსი აქვს. ყოველივე ასე თუ ისე, სილამაზის საწყაოთი ფასდება, რომელიც იდეალისადმი მეტ-ნაკლებად შესაბამისი მშვენიერებაც თუ სიმახინჯეც. აი რატომ არის, რომ ესთეტიკური აღზრდის უგულებელყოფა არსებითად ნიშნავს გონებისა და გრძნობის ერთიანობის, ადამიანის ბუნების, მისი მთლიანობის უგულებელყოფას. ზოგჯერ ამბობენ: იდეური, შრომითი, ზნეობრივი აღზრდის გარდა ესთეტიკურიც საჭიროა, ურიგო არ იქნებოდა ამისათვისაც მოგვეკიდა ხელიო. ამავე დროს ესთეტიკურის გარეშე შეუძლებელია რაიმე აღზრდა, მთავარი კი ის არის, რომ ესთეტიკური აღზრდის ყველაზე არსებითი საშუალებაა ხელოვნება.

მე ყველასთვის ცნობილ საკითხებზე ვლაპარაკობ, მაგრამ ეს უნდა ვიმეოროთ და ვიმეოროთ. და აი რატომ: ვინ არის ახლა ესთეტიკური აღზრდის წინააღმდეგი? ყველა „მომხრეა“. გარკვეული წარმატებებიც გვაქვს. მაგრამ ჯერ კიდევ ადრეა იმაზე ლაპარაკი, თითქოს მოთხოვნილება ჭეშმარიტ მაღალ ხელოვნებაზე ისეთივე საყოველთაო, ისეთივე საარსებო იყოს, როგორც, ვთქვათ, მოთხოვნილება ლამაზ ტანსაცმელზე. გაუმჯობესდა ხალხის კეთილდღეობა, გაიზარდა განათლების დონე. მაგრამ ვერც მატერიალური კეთილდღეობა და ვერც ცოდნა თავისთავად ადამიანს სულის სიდიადეს ვერ მატებს. ღრმავდება შრომის სპეციალიზაცია და ბევრი თავისი სპეციალობით იფარგლება. ხოლო ადამიანის ზოგადსულიერი, ინტელექტუალური დონე კი... არ ვიცი, იზრდება კი იგი ამით. მე მგონი, რომ ის, ვინც მთლიანად მხოლოდ თავისი პროფესიის ინტერესებით ცხოვრობს, გარდაუვალად სწყდება ზოგად სულიერ კულტურას, რომელიც ადამიანს ჰარმონიულს ხდის; ჰარმონიული ადამიანი კი ჩვენი საზოგადოების მიზანია.

შემთხვევითი არ არის, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „თვითმოქმედი მხატვრული შემოქმედების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ დასახულია ამოცანა, შეექმნათ საჭირო პირობები ხელოვნების საყოველთაო დანერგვისთვის — არა მარტო ყველა საკლუბო დაწესებულებაში, არამედ აგრეთვე საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სასწავლებლებში, საცხოვრებელ ადგილას. მხატვრული შემოქმედება, როგორც ესთეტიკური აღზრდის უმნიშვნელოვანესი საშუალება, თითოეულისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

კორესპონდენტი: საქართველოს მხატვრული თვითმოქმედების საშუალებებით ესთეტიკური აღზრდის საინტერესო გამოცდილება აქვს. გვითხარით რაიმე ამის შესახებ.

ო. თაქთაქიშვილი: რესპუბლიკაში ნამდვილად ბევრი კარგი თვითმოქმედი კოლექტივი გვყავს. ჩვენი სამინისტროს, პროფკავშირის, შემოქმედებითი კავშირების, მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების შესაძლებლობათა გაერთიანებით შეიძლება მოგვგვარებინა თვითმოქმედების პროფესიული ხელმძღვანელობა, აგვემაღლებინა მისი თვისებრივი დონე. მნიშვნელოვანი სხვა რამაა: მიღწეული შედეგები არა მარტო სასიხარულო, არამედ ბევრ რამეში დამფიქრებელიც გახლავთ, დიახ, ჩვენ გვყავს ათობით შესანიშნავი კოლექტივი, მაგრამ ეს მაინც გამონაკლისია. ჩვეულებრივ კი ჩვენი საუკეთესო კოლექტივები დაღუღალავი ყურადღებით მუშაობენ, და საკმარისია მზრუნველობა მოვაკლოთ, რომ მრავალი კოლექტივი დაიშალოს. მაშასადამე, ჩვენ შეგვქმნია კოლექტივები, გავაერთიანეთ ადამიანები, მაგრამ ჯერჯერობით ვერ შეგძელით დაგვეთესა ის მარცვალი, რომელიც თვითონ აღმოცენდებოდა. ეს კი სწორედ ესთეტიკური აღზრდის წარმატების კრიტერიუმია. დაე, კოლექტივი მთლად კარგი ნუ იქნება, მაგრამ თუ იგი თვითონ წარმოიქმნა, როგორც შემოქმედებისადმი ადამიანის დაუოკებელი მისწრაფების გამოხატულება, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზატორული მეცადინეობის ნაყოფი, ეს ალბათ უფრო დასაფასებელია, ვიდრე მაღალი პროფესიული დონე. ამ შემთხვევაში უყოყმანოდ შეიძლება ვთქვათ: ხელოვნება ცხოვრების განუყოფელ ელემენტად იქცა. ამით ამას კი არ ვამბობთ, თითქოს კარგი კოლექტივები როგორღაც ხელოვნურად შეიქმნა— ისინი შემოქმედებისადმი ხალხის ბუნებრივი ლტოლვის შედეგია, და თუ მათ არ ვუხელმძღვანელეთ, თუ სტიმული არ მივეცით, ბევრი მათგანი უდღეური გამოდგება. არ არის საიმედო სტაბილურობა, დღეს ეს პრობლემა ძალზე გვაღელვებს.

კორესპონდენტი: საქართველოში ხომ ხელოვნება ტრადიციულად დაკავშირებულია ყოფასთან, ეს ტრადიციები კი თითქოს საკმაოდ ფესვგადგმულია?

ო. თაქთაქიშვილი: დიახ, მაგრამ ეს დაკავშირებულია თითქმის მხოლოდ დღესასწაულებთან. ცხოვრება კი — ეს, უპირველეს ყოვლისა, მაინც ყოველდღიურობაა. ის, რასაც დღეს ჩვენ თვითმოქმედებას ვუწოდებთ, ხელოვნების არსებობის სწორედ ისეთი ფორმაა, რომელიც ყველაზე მეტად ერწყმება ადამიანის ყოფას, ცხოვრებას. თვითმოქმედება დღეს მარტო შემსრულებლობა, „მაყურებლისათვის“, პრიზებისა და მედლებისათვის მუშაობა როდია. ეს აღზრდაც, განათლებაც არის, თვითმოქმედება ამ თვალსაზრისით იმავე როლს ასრულებს, რომელსაც დასაბამიდან ასრულებდა ცოცხალი ხალხური შემოქმედება, მაგრამ ახლა იგი ამ როლს ასრულებს ახალ, თანამედროვე პირობებში, როცა არა მარტო ფოლკლორი, არამედ მთელი ხელოვნება, მთელი მისი სიმდიდრე ხელმისაწვდომია ხალხისათვის.

გურიაში უწინ არსებობდა მრავალი საგუნდო სუიტა, რომლებსაც შრომითი პროცესების დროს მღეროდნენ. სიმღერა სახალისოს ხდიდა მუშაობას, ხელს უწყობდა კოლექტიური შრომის ორგანიზაციასა და კოორდინაციას. ახლა ყოფითი სიმღერა გართობად იქცა, დაკარგა კავშირი კოლექტიური საქმიანობის სხვადასხვა ორგანიზებულ ფორმებთან. ეს აიხსნება შრომის სფეროში მომხდარი ობიექტური ცვლილებებით. და ეს ბუნებრივიც არის: პროგრესი პროგრესია, მაგრამ, თუ ხელოვნება მხოლოდ გართობაა, იგი უკვე აღარ არის ხელოვნება. რა ვიღონოთ? საფიქრალი ბევრია. ალბათ უფრო გულმოდგინედ უნდა ჩაეუკვირდეთ იმას, თუ როგორ მყარდება ცხოვრებაში ხალხის „არაორგანიზებული“, მხატვრული შემოქმედების ფორმები. ჩვენში ბევრ ოჯახში უყვართ სიმღერა. ერთი სიამოვნებაა, მაგალითად, ექიმ ჩიქოვანის ოჯახის სიმღერის, აფხაზეთის ოჯახური ანსამბლების მოსმენა. ასეთი კოლექტივები ჩვენში ძალზე ბევრია. მაშასადამე, ხელოვნებაზე მოთხოვნილებას შექმნა არ სჭირდება— იგი არსებობს. „ორგანიზებული“, მიზანმიმართული თვითმოქმედებისადმი მოთხოვნილება კი გვაკლია.

კორესპონდენტი: კლუბში დარბაზი და სცენაა, მსახიობები და მაყურებლები, შინ კი ადამიანი თავისთვის და მეგობრებისათვის მღერის. ახე რომ, იქნებ ეს ბენებრივიც იყოს, თვითმოქმედება ორი ფორმით რომ არსებობს: ერთი—ხალხური, საკლუბო, რომლის მიზანია საშემსრულებლო ოსტატობის ამაღლება, კონკურსი, მეორე კი ხელოვნება „თავისთვის“ და მეგობრებისთვის. ხელოვნება როგორც ცხოვრების ფორმა. ალბათ საჭიროა ერთიც და მეორეც?

ო. თაქთაქიშვილი: დიახ, მაგრამ ეს ფორმები არ უნდა არსებობდნენ როგორც ახლა, ერთმანეთისაგან იზოლირებულად. ცალ-ცალკე კი, მაგრამ არა იზოლირებულად. უნდა ვესწრაფვოდეთ მათს ურთიერთმოქმედებას, რაღაც მომენტებში კი შერწყმასაც. ყოველივე ეს კი ნიშნავს— მიზანმიმართულად ვაყალიბებდეთ ყველა ასაკისა და პროფესიის ათასობით ადამიანის შემოქმედებითი ცხოვრების პროცესს. ჩემი აზრით, ეს არის კლუბების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა და მხატვრული თვითმოქმედების შემდგომი განვითარების მთავარი ხაზი.

გაისად ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ფართოდ აღნიშნავენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავს. ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას ეძღვნება მშრომელთა თვითმოქმედი მხატვრული შემოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადა, რომლის პირველი ტურიც უკვე დაიწყო რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში. მილიონთა შემოქმედების ამ დათვალიერებაში მონაწილეობენ თვითმოქმედი კოლექტივები და ინდივიდუალური შემსრულებლები. ვიმედოვნებთ, რომ ეს ოლიმპიადა ხელს შეუწყობს ჭეშმარიტ ხალხურ ხელოვნებაში მშრომელთა უფრო ფართო ჩაბმას, თვითმოქმედი შემოქმედების იდეურ-მხატვრული დონის ამაღლებას, გამოავლენს ტალანტებს, რომლებითაც ასე მდიდარია საქართველო.

ᲛᲐᲡᲘᲗᲘᲐᲜᲘ ᲛᲐᲡᲘᲗᲘᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲕᲐᲚᲔᲢᲐ

ᲓᲦᲔᲡ მალტის დედაქალაქ ვალეტაში საზეიმო ვითარებაში გახსნეს მოჭადრაკე ვაჟთა ოცდამეოთხე და ქალთა მეცხრე მსოფლიო ოლიმპიადები. აქვე გაიმართება საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის — ფიდეს კონგრესი. აღსანიშნავია, რომ ამ გუნდურ შეჯიბრებებში იასპარეზებენ 84 ქვეყნის მოჭადრაკეები.

ვალეტაში შეიკრიბნენ პლანეტის საუკეთესო მოჭადრაკეები, რომელთა შორის 54 დიდოსტატია. სსრ კავშირის ვაჟთა გუნდის შემადგენლობაში ოლიმპიადაზე ჩემპიონი ანატოლი კარპოვი, ლევ პოლუგაევსკი, მსოფლიოს ექსჩემპიონი ბორის სპასკი, ეფიმ გელერი, იური ბალაშოვი და იუნიორთა შორის მსოფლიო ჩემპიონი გერი კასპაროვი. შეგახსენებთ ქალთა გუნდის შემადგენლობას. მკითხველმა უკვე იცის, რომ წლევანდელ ქალთა მსოფლიო ოლიმპიადაში საბჭოთა ქვეყნის ღირსებას მხოლოდ ქართველი სპორტსმენები დაიცავენ: მსოფლიოს ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე, მსოფლიოს ექსჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მატჩის ფინალისტები ნანა აღლაშვილი და ნანა იოსელიანი.

ვაჟთა ოლიმპიადები იმართება 1927 წლიდან. საბჭოთა მოჭადრაკეებმა ოლიმპიადაში პირველად 1952 წელს იასპარეზეს. ამ დროიდან ჩვენი ნაკრები თორმეტჯერ იყო უძლიერესი და მხოლოდ ერთხელ დაამაყოფილდა მეორე ადგილით (1978 წელს ბუენოს-აირესში). ქალებმა აქამდე გამართული რვა ოლიმპიადიდან შვიდში მიიღეს მონაწილეობა და შვიდჯერვე ყველას აჯობეს.

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲡ

ᲒᲣᲜᲘᲜ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩი. თბილისის „დინამომ“ მიიღო რიგის ვეფი. მასპინძლებმა პირველ ტაიმში კარგად ითამაშეს და იგი მოიგეს კიდეც ანგარიშით 58:44.

თამაშის პირველ ნახევარში მოპოვებული თითქმის ტექნიკურად უპირატესობა საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ თბილისელებს გამარჯვებით დაეგვირგვინებინათ ეს ძნელი მატჩი — 106:103.

Д. РОСНАЖАЖ

გარდაიცვალა საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, 1917 წლიდან სკკპ წევრი დავით ერასტის ძე **РОСНАЖАЖ**-ი. იგი დაიბადა 1894 წელს რაჭის მაზრის სოფელ სორში (ონის რაიონი) ღარიბი გლეხის ოჯახში. შრომითს საქმიანობაში ბავშვობიდან-ვე ჩაება, იყო მოჯამაგირე. არსებული წყობილების წინააღმდეგ გამოსვლებში მონაწილეობისათვის 1914 წელს ციმბირში გადასახლეს. ციმბირიდან მეფის არმიაში გაიწვიეს. და იქ აქტიურად ჩაება არალეგალურ მუშაობაში, ეწეოდა აგიტაციას ჯარისკაცთა შორის.

დ. როსნაძე სწორედ ამ დროს შევიდა ბოლშევიკური პარტიის რიგებში და 1917 წელს მონაწილეობს ზამთრის სასახლის აღებაში. 1918 წელს საქართველოში ბრუნდება და მშობლიურ სოფელში ბოლშევიკური ორგანიზაციას ქმნის, ებრძვის თეთრგვარდიელებსა და მენშევიკებს ჩრდილო კავკასიასა და თეგრგის ხეობაში. იგი მენშევიკებმა რამდენჯერმე დაუპატიმრეს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე დ. როსნაძე სოფელ სორის რევკომის თავმჯდომარეა. 1924-25 წლებში სართიჭალის თემკომის თავმჯდომარედ გადაჰყავთ, შემდეგ პარტიულ სკოლაში სწავლობს, 1928-30 წლებში კი პარტიის ყაზბეგის რაიკომის პირველი მდივანი.

1931-32 წლებში დ. როსნაძე მოსკოვშია სასწავლებლად, შემდეგ კი კვლავ საქართველოშია და ჯერ თბილისში მუშაობს სხვადასხვა პარტიულ თანამდებობებზე, მერე ბოლნისში. ბოლო წლებში იგი ბოლნისის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე იყო.

პრინციპული ბოლშევიკის დ. როსნაძის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი მეგობრებისა და ნაცნობების გულში.

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲘᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘ, ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ.

რედაქტორი

Ბ. ᲑᲔᲓᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა 1966 წლიდან სკკპ წევრი, კაპიტალური მშენებლობის სტატისტიკის ინფორმაციის განყოფილების უფროსი

ᲯᲔᲛᲐᲚ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ ᲫᲔ ᲦᲕᲘᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ᲡᲐᲙᲚᲔᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲒᲕᲐᲒᲣᲚᲝᲑᲘᲜᲔᲑᲔᲜ

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ — ᲓᲦᲔᲡᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲜᲣᲛᲠᲘᲗ

ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲖᲔ

ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲘ, 19 ნოემბერი. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე 35 სახელმწიფოს წარმომადგენელთა მადრიდის შეხვედრის მუშაობაში დაიწყო ახალი ეტაპი — ახლა პლენარული სხდომები საიდუმლო ვითარებაში მიმდინარეობს.

ჟურნალისტებმა, რომლებიც აშუქებენ მადრიდის ფორუმს, გამოთქვეს იმედი, რომ დახურულ სხდომებზე ნატოს წამყვანი ქვეყნები ბოლოს და ბოლოს შეწყვეტდნენ პროპაგანდისტული სპექტაკლის გათამაშებას და სერიოზულად შეუდგებოდნენ ამ ფორუმის წინაშე მდგომი მთავარი საკითხების — ევროპის კონტინენტზე უშიშროებისა და მშვიდობის განმტკიცების პრობლემების განხილვას.

მაგრამ შეხვედრის მუშაობის პირველი დღეები მოწმობს, რომ ეს არ მოხდა. ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები და მისი უახლოესი მოკავშირენი განაგრძობენ პოლიტიკურ მანევრებს. ამერიკელი დელეგატის სიტყვა ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატებმა მაშინვე აცნობეს დასავლეთის პრესის წარმომადგენლებს, რითაც დაარღვიეს მადრიდის შეხვედრის მონაწილეთა შეთანხმება დახურული სხდომების პროცედურის შესახებ. ამ გამოსვლის აზრი, რომელმაც, როგორც ყველაფრიდან ჩანს, უნდა განსაზღვროს ნატოს სხვა დელეგაციების სიტყვები, ასეთია: თავდაპირველად ამერიკელმა დელეგატმა აღიარა, რომ საჭიროა ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის თანაარსებობა და თანამშრომლობა ომის თავიდან აცილების მიზნით, შემდეგ კი თავისი გამოსვლა ძირითადად მოანდომა სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის გაყალბებას, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატი არსებითად არ შეხებია ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებს, რომლის განხილვისათვის მოიყარეს სწორედ თავი მადრიდში სრულიად ევროპის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა.

შეხვედრის მონაწილეთა წრეებში, აგრეთვე ჟურნალისტებს შორის აღნიშნავენ ამერიკის წარმომადგენლის გამოსვლის მკვეთრად პროპაგანდისტულ, არაკონსტრუქციულ ხასიათს, და ამბობენ, რომ ამერიკის პოზიცია არ შეესაბამება დაძაბულობის შენელებისა და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის განმტკიცების ინტერესებს.

სოციალისტური და ევროპის მთელი რიგი სხვა ქვეყნების წარმომადგენლები აღშკარავებენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს სხვა ქვეყნების საძარცვის პროპაგანდისტულ მანევრებს, საკადრის პასუხს სცემენ სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოთა მიმართ ცილისწამებას, ცდილობენ მადრიდის შეხვედრის მუშაობა წარმართონ იმ ამოცანათა განხილვისა და პოზიტიური გადაწყვეტისათვის, რომლებიც მადრიდის ფორუმს დაუსახა ჰელსინკის თათბირის საბოლოო აქტმა.

ᲛᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲚᲘᲛᲐᲕᲨᲘ

ᲚᲘᲛᲐ, 10 ნოემბერი. (სპკდესი). აქ მყოფი კოლუმბიაში გზად მიმავალი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია, რომელსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გ. გილაშვილი მეთაურობს, მიიღო პერუს მეორე ვიცე-პრეზიდენტმა ხავიერ ალვა ორლანდინიმ.

საუბრის დროს შეეხნენ პერუსა და საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და თანამშრომლობის გაღმტკიცებისა და გაფართოების საკითხებს.

ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲛᲘᲦᲬᲚᲕᲘᲜᲐ

ᲓᲔᲚᲘ, 19 ნოემბერი. ინდოეთის საზოგადოებრიობა მხურვალედ მიესალმება ინდოეთში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მომავალ ოფიციალურ ვიზიტს.

ინდოეთის საზოგადოებრიობის მასობრივი მიტინგი გაიმართა დელის მუშათა გარეუბან როჰტასნაგარში. მიტინგში მონაწილეობდნენ ინდოეთის პარლამენტის წევრები ქვეყნის წამყვანი პოლიტიკური პარტიებისაგან, ცნობილი საზოგადო მოღვაწენი, აგრეთვე სრულიად ინდოეთის მშვიდობისა და სოლიდარობის ორგანიზაციის მოწვევით აქ ჩამოსული საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის დელეგაცია.

ᲛᲔᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲨᲘ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 19 ნოემბერი. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანომ „ტრიბუნა ლუდუმ“ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ნათქვამია, რომ გდანსკის შეთანხმების ხელმოწერით დაძაბულობის პერიოდი არ დამთავრებულა. იგი კვლავ გრძელდება. ეჭვი არ არის, აღნიშნავს გაზეთი, რომ ეს იმითი ბრალია, ვისაც შეთანხმება მიაჩნია კონიუნქტურულ კომპრომისად, ვინც ცდილობს განავითაროს ხელისუფალთა მიმართ მოთხოვნების ესკალაცია.

მოთხოვნათა ესკალაცია, წერს „ტრიბუნა ლუდუ“, ძირს უთხრის გდანსკის შეთანხმებას, აცამტვერებს ყოველივე იმას, რასაც ჩვენ მივესალმეთ აგვისტოს დამლევს.

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ. პრესა იუწყება, რომ გაიმართა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ვარშავის კომიტეტის პლენუმი, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ს. კანია. როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, პლენუმმა დააკმაყოფილა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის ა. კარკოშკას თხოვნა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ვარშავის კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობისაგან მისი განთავისუფლების შესახებ. ამ თანამდებობაზე აირჩიეს ს. კოჩოლეკი.

ამავე ცნობაში ნათქვამია, რომ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ლოძის სავოევოდო კომიტეტის პლენუმმა ლოძის სავოევოდო კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ბ. კოპერსკი და ამ თანამდებობაზე აირჩია პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ლოძის სავოევოდო კომიტეტის ყოფილი მდივანი ტ. ჩეზოვიჩი.

პლენუმებზე ხაზგასმით აღინიშნა, იუწყება სააგენტო, რომ საჭიროა სასწრაფო ღონისძიებათა განხორციელება, რათა პარტიამ მთლიანად აღიდგინოს თავისი წამყვანი როლი და ავტორიტეტი ხალხში, აღინიშნა, რომ შეუწყნარებელია პარტიის წევრთა პასიურობა.

ᲬᲐᲛᲥᲔᲖᲔᲑᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ, 19 ნოემბერი. გაზეთმა „ჟენმინ ჟიბაომ“ გამოაქვეყნა მთელი რიგი მასალები პოლონეთის ვითარების შესახებ და ამ მასალებს თან დაურთო საკუთარი კომენტარები და ბურჟუაზიული პრესიდან ამონაწერები. ეს ინფორმაციები და კომენტარები მოწმობს, რომ პეკინის გაზეთი, ისევე როგორც ჩინეთის მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებები, კვლავ ტენდენციურად აშუქებს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ახლანდელ ვითარებას.

პეკინი არაფერს ამბობს პოლონეთის მიმართ იმპერიალისტური წრეების პროვოკაციულ როლზე. უფრო მეტიც, „ჟენმინ ჟიბაო“, იმოწმებს რა უსახელო წყაროებს, ბეჭდავს ისეთ მასალებს, რომლებიც ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს დასავლეთი და მისი პოლიტიკოსები პოლონეთს „გარეშე საფრთხისაგან იცავდნენ“.

„ამ გულითადი შეხვედრების დროს,— ხაზს უსვამს გაზეთი,—ვლინდება იტალიისა და სსრ კავშირის, აპულიისა და მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცების ახალი შესაძლებლობანი“.

ასეთივე აზრისა არიან ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებიც. „ახლანდელი შეხვედრების გულთბილობა და გულწრფელობა გვახარებს,— თქვა საკლესის კორესპონდენტთან საუბარში ქალაქ ბრინდიზის მერმა ბ. კარლუჩომ. ამედი გვაქვს, რომ ჩვენი მეგობრობა კვლავაც განმტკიცდება“.

ᲓᲦᲔᲡ ᲙᲐᲛᲞᲣᲩᲘᲐᲨᲘ

ᲙᲐᲛᲞᲣᲩᲘᲘᲡ სახალხო რესპუბლიკაში ცხოვრება თანდათან კალაპოტში დგება. ხალხი მხარს უჭერს ქვეყნის რევოლუციურ ხელისუფლებას და მას მიიჩნევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში თავის ერთადერთ კანონიერ წარმომადგენლად.

● ●

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: კამპუჩიელები მხარს უჭერენ თავიანთი მთავრობის პოლიტიკას (ზემოთ); ბრინჯის ყანაში.

ᲡᲐᲙᲚᲔᲡᲘᲡ ფოტოქრონიკა.

ᲛᲔᲖᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

ᲑᲐᲠᲘ-ᲑᲠᲘᲜᲓᲘᲖᲘ. 19 ნოემბერი. იტალიის აპულიის ოლქში წარმატებით გრძელდება საბჭოთა კავშირის დღეები. მას შემდეგ, რაც საოლქო ცენტრ ბარში გაიმართა დღეების გახსნის საზეიმო ცერემონია, მუშაობა დაიწყეს ტაჯიკი და ქართველი მხატვრების გამოფენებმა, საბჭოთა დელეგაციები, მსახიობები და სპორტსმენები გაეგზავნენ აპულიის სხვა ქალაქებში.

დიდი წარმატებით მიმდინარეობს საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის გამოსვლები. მაყურებლები აღტაცებული არიან ანსამბლის ცეცხლოვანი ცეკვებით, მათს დიდ განცვიფრებას იწვევს ქართული სმენერების მრავალხმიანობა და მელოდიურობა, რომლებიც ესოდენ დამახასიათებელია აპულიისთვისაც.

დამთვალიერებელთა ნაკადი არ წყდება საქართველოს საბავშვო ნახატისა და პოლიტიკური პლაკატის გამოფენებზე ქალაქ ბრინდიზში. დიდი საბჭოთა კინორეჟისორის ეიზენშტეინის ნახატების გამოფენა გაიმართა ქალაქ ლეჩში. საბჭოთა გამოფენები მოიწყო ოლქის სხვა ქალაქების უდიდეს მუზეუმებსა და გალერეებში.

აპულიაში საბჭოთა „კვირის დღეებს ფართოდ აშუქებს ადგილობრივი პრესა. იტალიის სამხრეთი ოლქების უდიდესი გაზეთი „გაზეტ